სინფორმაციო-განყოფილების
კომპლექტი

პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 ს.
ტელეფონები (რედაქტორის 14—76 (მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი 24 მეორე სართული, ტელეფონი 10—49.
ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის 75 კ., დანარჩენებისათვის: ქალაქში 1 მ. ქალაქს გარეშე—1 მ. 20 კ., ხელისმომწერნი მიიღებენ „ჩირაღდანს“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონი—20 კ., აწყობა ციფრებით—25 კ. სამგლოვიარო—5 მან. დოკუმენტების დაკარგვა 50 კ. განცხადება მიიღება 3 ს.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელეფონი 13—80.

ოთხშაბათი, 7 იანვარი 1925 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კ. № 5 (1160)

დღიური

— მეორე ინტერნაციონალის ბიუროს და ამსტერდამის პროფკავშირთა გაერთიანებული სხდომა უკმაყოფილოა საბჭოთა კავშირის განმტკიცებით.

— ამხ. სადულის საქმე გაირჩევა [illegible] ([illegible]შია) 12 იანვარს.

— მოკავშირეებმა ჩააბარეს გერმანიას ნოტა კელნის ზონის დაცლის შესახებ.

— პოლონეთის მთავრობა განაგრძობს გლეხობის [illegible] დევნას.

ლენინის ხსოვნის აღნიშვნა

მიმდინარე იანვრის 21-ს სრულდება ერთი წელიწადი ამხ. ლენინის გარდაცვალებიდან. მსოფლიო რევოლუციის ბელადის ხსოვნის აღსანიშნავად ჩატარებული იქნება საგანგებო „კვირეული“. წინასწარი მზადება ამისთვის უკვე დაწყებულია.

ლენინი იმსახურებოდა პარტიის საქმის, მშრომელთა განთავისუფლების საქმეს არა მარტო თავისი სიცოცხლით. თვით მისი სიკვდილი შეიქნა ჩვენი პარტიის განმტკიცების, მუშათა კლასის შეკავშირების უდიდესი ფაქტორი. ყველას გვახსოვს, თუ როგორ შეამჭიდროვა ამ გარემოებამ ჩვენი საკუთარი რიგები, თუ რა სტიქიური ლტოლვა გამოიწვია ჩვენი პარტიისაკენ უპარტიო მასებში, თუ როგორ უფრო მჭიდროდ შემოკრიბა მთელი მშრომელი ხალხი ლენინის პარტიის გარშემო.

ლენინის სიკვდილის წლის თავის მოგონებაც ამავე მიზანს ემსახურება, ე. ი. პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას.

როგორც ვიცით, ჩვენი მტრები ყოველთვის დიდ იმედებს ამყარებდნენ ჩვენი შინაპარტიული მდგომარეობის გართულებაზე. შარშანდელმა დისკუსიამ მათ პირველ ხანებში ფრთები შეასხა. ახლაც ბოროტი სიხარულით ადევნებენ ისინი თვალყურს ლენინიზმის დამახინჯების ცდას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ ბოლო დროს.

მაგრამ როგორც შარშან, ისე მით უფრო ეხლა ჩვენს მტრებს კოზირი ნაცარში ჩაუვარდათ. შარშანდელი დისკუსიიდან პარტია უფრო განმტკიცებულ-გაკაჟებული გამოვიდა. რაც შეეხება ეხლანდელ მდგომარეობას, ცხადია, რომ პარტია არ დაუშვებს ლენინიზმის რევიზიას, მისი საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრას.

ლენინის „კვირეულის“ განმავლობაში, პარტიის ფართე მასსა უფრო ახლოს გაეცნობა ლენინიზმის შინაარსს, მის ძირითად პრინციპებს, პარტიის ბრძოლას ლენინიზმის გადამახინჯების ცდებთან, თვით ლენინის ცხოვრებას და მოღვაწეობას.

პარტიის ისტორიის და ლენინიზმის შესწავლის მოთხოვნილება მეტად გაიზარდა პარტიულ და საერთოდ მუშათა მასსებში ამ ბოლო დროს. ხსენებული კვირეული სავსებით უნდა იქნეს გამოყენებული ამ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. პარტიის რიგების მაქსიმალური შემჭიდროება ლენინიზმის დროშის ქვეშ და ლენინიზმის ხაზიდან ყოველგვარი გადახრის ცდის გადაჭრილი უარყოფა—აი რა უნდა მოგვცეს ილიჩის ხსოვნის აღსანიშნავმა კამპანიამ.

„კვირეულმა“ უფრო მჭიდროდ უნდა შემოკრიბოს პარტიის გარშემო უპარტიო მშრომელი მასსა, მუშები და გლეხები. მათ კრებებზე უნდა იქნას გაშუქებული როგორც ლენინის მოძღვრება, ისე ის ლონისძიებანი და მიღწევები, რომელნიც მიმართულია მშრომელი ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ.

ლენინის ხსოვნის საუკეთესო პატივცემა იქნება იმ ამოცანების განხორციელება, რომელნიც გვიანდერძა ჩვენმა წინამძღოლმა და რომელნიც ეხლა განსაკუთრებით დგანან ჩვენი მუშაობის დღის წესრიგში.

სოფლად მუშაობის გამოცოცხლება, გლეხობის ფართე მასსის აქტიური ჩაბმა საბჭოთა აღმშენებლობაში—ეს ჩვენი ძირითადი ლოზუნგია ამჟამად. ამისათვის ლონისძიებანი საერთოდ გამომუშავებულია, სათანადო ნაბიჯებიც იდგმება. საჭიროა მხოლოდ ყველამ შევიგნოთ მთელი სიღრმით ჩვენს წინაშე წამოჭრილი ამოცანა და მის განსახორციელებლად არაფერი დავიშუროთ.

აღნიშნულ კვირეულის განმავლობაში უნდა მოხდეს პარტიის და ხელისუფლების უფრო მჭიდრო დაახლოვება გლეხობასთან.

მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის განმტკიცება, რაც შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების საფუძველს, შესაძლებელია პირველ ყოვლისა და, უმთავრესად ეკონომიურ ნიადაგზე, სამეურნეო აღმშენებლობის გზით. აქ კი მრეწველობის აღორძინება, შრომის ნაყოფიერების გაზრდა დგას პირველ რიგში. ჩვენ უნდა გავაფართოვოთ წარმოება, ავწიოთ შრომის ნაყოფიერება, რაც საშუალებას მოგვცემს გამოუშვათ მეტი საქონელი და იგი იაფად მივაწოდოთ გლეხობას. მაშინ მტკიცე საძირკველი ჩაეყრება მუშათა კლასის და გლეხობის კავშირს და საბჭოთა ხელისუფლების სიმტკიცე, მშრომელთა გამარჯვება სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნება.

„კვირეულის“ განმავლობაში ეს საკითხები სათანადოთ იქნებიან გაშუქებული მშრომელთა წინაშე.

საჭიროა ადგილობრივი ორგანიზაციები ამ თავითვე შეუდგენ სამზადისს ამხ. ლენინის სიკვდილის წლის თავის ღირსეულად აღნიშვნისათვის. ამასთან დაკავშირებით მათ უნდა გააშუქონ პარტიულ მასსისა და მშრომელი ხალხის წინაშე ყველა ის ამოცანები, რომელნიც წამოაყენა მიმდინარე სინამდვილემ. ამ ამოცანების განსახორციელებლად ლენინის მოგონების კვირეულმა ჩვენ უნდა შთაგვბეროს მეტი ენერგია და ხალისი.

პრეზიდენტ ებერტის საქმე სასამართლოში

იყო დრო, როცა გერმანიის სოციალ-დემოკრატია წარმოადგენდა მთელ ბურჯსა და იმედს მუშათა საერთაშორისო მოძრაობისას. იმ დროს თვით კაუცკი სწერდა, რომ „პირობები სოციალისტური რევოლუციისათვის მომწიფდა და ის ნაადრევად აღარ ჩაითვლებაო“. ამ დროს ერთ-ერთ პროფკავშირში მუშაობდა ერთი მუშა, რომელიც უფრო რეფორმების მშვიდობიან პოლიტიკის მომხრე იყო, ვინემ ქუჩაში გაჩაღებული ბრძოლისა. მაგრამ ამავე დროს იგი იყო მჭერმეტყველი და საკმაოთ მოიწონებოდა კიდეც. ეს იყო—ფრიც ებერტი. რა დრო იყო!—ეხლა რა გულის ამრევი ქვარტლი მოსდებია „სახელოვან“ წარსულს მეორე ინტერნაციონალის უძლიერესი პარტიისას—მაგდებურგის პროცესსი იძლევა ამის ნამდვილ სურათს.

მე მგონია გერმანიაში ჩვენ უკვე ყველაფერი ვიხილეთ, ყველაფერი გავიგონეთ. შეიდემანი კაიზერის წინ მენდლებით დამშვენებულ დიდებულებს ფარულათ უსურვებდა იმპერატორის გამარჯვებას. ნოსკე ტყვიის მფრქვეველებით ხვრეტდა პროლეტარიატს, რომელსაც წინეთ არწმუნებდა თავის სოციალისტობაში. „ფორვერტსი“ აქეზებდა შავრაზმელებს როზა ლუქსემბურგისა და ლიბკნეხტის მოსაკლავათ. შემდეგ კი—მათი მკვლელობის გარშემო იგივე გაზეთი ავრცელებდა ათასგვარ ცილისწამებას. ფაშისტ გენერალმა ერჰარდტმა კი ერთი წლის წინათ განაცხადა, რომ მანამ ის კაპპს მისთავაზებდა დიქტატორობას 1919 წელში, ეს წინადადება პირველათ მან მისცა ნოსკეს. სოც.-დემოკრატების ცენტრალური კომიტეტი კი კვერს უკრავდა რეაქციონურ ჯარს (რაიხსვერს) წითელი საქსონიის დასაპყრობათ.

კიდევ რამდენი დანაშაულობა ჩაუდენიათ: სიტყვით, წერით, განცხადებით, საქმით! ყველა ამის დანახვაზე ჩვენ ხშირათ ვეკითხებოდით ჩვენ თავს: როდის მოეღება ბოლო ამ საზიზღრობას!

მაგრამ თურმე ჩვენ კიდევ არ გვენახა ყველაფერი! ჩვენ არ ვიცოდით ყველაფერი. ეს ტალახი უფრო და უფრო ემატებოდა იმ ჭაობს, რომელშიაც ისვრება გერმანიის სოციალ-დემოკრატიის დიადი ბელადის და საძირკვლის ჩამყრელის ბებელის სახელიც. ამის მაჩვენებელია მაგდებურგის პროცესსი (დეკემბრის 10—13 რიცხვში).

გერმანელი ნაციონალისტი როტარტი ამ ბოლო დროს ბრალს სდებდა ებერტს შემდეგში: 1918 წელს სამხედრო მასალების დასამზადებელ ქარხნებში დაიწყო დიდი გაფიცვა. ეს იყო იმპერიალისტური ხოცვა-ჟლეტის წინააღმდეგ გერმანიის მუშათა კლასის პირველი ამბოხება, რომელიც იყო წინამორბედი ნოემბრის რევოლიუციისა. ამ დროს ებერტი ამბობდა თურმე, „რომ ყოველ მხრივ უნდა მხარი დავუჭიროთ საერთო გაფიცვას, რომელიც ბოლოს მოუღებს საზარელ ომსაო“. ებერტმა უარყო ეს ბრალდება და როტარტი გამოიწვია სამართალში ცილისწამებისათვის.

ჰინდენბურგი, ლიუდენდორფი, მაკენზენი კიდევ ერეკებოდნენ სახოცავათ მათ განკარგულებაში მყოფ ადამიანების უკანასკნელ ნაწილს. იმპერია უკვე ირღვეოდა, ინგრეოდა. 1918 წლის იანვრის საერთო გაფიცვა სამხედრო ქარხნებში წარმოადგენდა „ველურ“ რამეს, რომელიც გამოწვეული იყო სპარტაკელების მიერ. გაფიცვა იყო საყოველთაო და ერთსულოვანი. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკა, რომელშიც ებერტიც შედიოდა, სავსებით მიემხრო ამ გაფიცვას და გაფიცვის კომიტეტში გაგზავნა თავისი წარმომადგენელი. ასეთია სინამდვილე. მაგრამ რას ამბობს ამაზე დღეს გერმანელ მენშევიკების ბელადი? პრეზიდენტი ებერტი თავს იმართლებს და ამბობს, რომ ის არას დროს არ ცდილობდა ხელი შეეშალა ომისთვის, „ეს იმის მომასწავებელი იქნებოდა, რომ მე წავსულიყავ მთელი ჩემი წარსულის წინააღმდეგო“. როგორც პატიოსანი კაცი, ის აღელვებით მკერდზე ირტყამს ხელს. დაეკითხეთ მოწმე შეიდემანს, ის გააშუქებს ყველაფერს...

ასეც მოხდა. 11 დეკემბრის სხდომაზე შეიდემანი ამბობს: მონარქია სოციალ-დემოკრატიას უნდა უმადლოდეს, რომ ის ორი თვით უფრო ადრე არ დაემხოვო. „დიახ, 1918 წლის იანვრის გაფიცვის კომიტეტში შევედით ჩვენ, სოციალ-დემოკრატები. მაგრამ მე არ გამიცია ქვეყნად არავითარ საიდუმლოებას, როდესაც ვიტყვი, რომ ეს ჩავიდინეთ ჩვენ იმ მიზნით, რათა უფრო ჩქარა შეგვეჩერებინა მუშების საგაფიცვო მოძრაობა. თუ ასე არ მოვქცეულიყავით, მაშინ შეიძლება, ეს სასამართლოც არ იქნებოდა ეხლა“.

ეს მაგდებურგის ნაციონალისტური სასამართლო არის ნამდვილი გამომსახველი იმ პლუტოკრატიულ გერმანიისა, რომლის ციხეებშიც სულს უხუთავენ 7.000 გერმანელ მუშას.

„ჩემის აზრით—განაგრძობს შეიდემანი—ჩვენ მადლობაც კი გვეკუთვნის ასეთ მოქმედებისთვისო“.

ჩვენც სწორედ ასე ვფიქრობთ: გერმანიის ბურჟუაზია მადლიერი უნდა იყოს სოციალ-დემოკრატებისა. თავმჯდომარის შეკითხვაზე, თუ რა გავლენა ჰქონდა მაშინ სოციალ-დემოკრატიას—შეიდემანი უპასუხებს. „ომის წინააღმდეგობის გაწევის ცდა იქნებოდა ნიაღვრის წინ დადგომა“.

კამათი გრძელდება. მოწმეები იძლევიან ჩვენებას სოციალ-დემოკრატიულ პარლამენტარულ ჯგუფის ერთ საყურადღებო კრების შესახებ, რომელსაც ადგილი ჰქონდა 1918 წ. 28 სექტემბერს. მაშინ გადასწყვიტეს შესულიყვნენ ჯერ კიდევ არსებულ იმპერიალისტურ მთავრობაში. ებერტმა რომ გაიგო მაშინ გერმანელების დამარცხების ამბები, ცრემლები მოერია თვალზე. „ეხლა კი შევიდეთ მთავრობაშიო, ამბობდა ის, რომ გადავარჩინოთ ის, რის გადარჩენაც კიდევ შეიძლებაო“.

რა უნდა გადაერჩინათ: დინასტია? არმია? კოლონიები? მცირეოდენი შესაძლებლობა სხვა ქვეყნების დაპყრობისა? ბურჟუაზიული წესწყობილება“?

რათაც უნდა დაჯდომოდათ უნდა გადაერჩინათ ყოველისფერი, გარდა მხოლოდ ერთისა—სოციალიზმისა.

აქ შეიდემანს მოაგონეს, რომ 1918 წლის გაფიცვის დროს მუშები მოითხოვდენ საერთო ამნისტიას.

„ჩვენ მაშინ უარს ვყოფდით ამნისტიას—ამბობს შეიდემანი—როგორც ეხლა უარვყოფთ კომუნისტების ამნისტიას“-ო.

მას აზრათაც კი არ მოსდის, რომ მცირეოდენი განსხვავება დაინახოს იმპერიალისტურ და რესპუბლიკანურ ციხეებ შორის. მაგრამ როგორც ხედავთ, მათ შორის არავითარი განსხვავება არ ყოფილა მართლა.

საჭიროა ფეხდაფეხ მივყვეთ ყველა მოწმეების ჩვენებას. შეიდემანისა და ჰერმან მიულლერის შემდეგ დიტმანი ამოწმებს შემდეგს: „გაფიცვის კომიტეტში შევედით იმიტომ, რომ მოსარჩებული მოლაპარაკებით გაგვეახლებინა მუშაობაო“. ჩვენებურათ რომ ვთქვათ, ეს იმას ნიშნავს, რომ საბოტაჟი გაეწიათ მუშათა მოძრაობას. მუშათა კლასს უფრო კარგათ ებრძვიან შიგნიდან, ვიდრე-გარედან. მოღალატეობა—ეს ყველაზე მახვილი იარაღია მის წინააღმდეგ.

მოწმე ვუტშიკი ამტკიცებს სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცეკას მაშინდელ სისუსტეს. და რადგან მაშინ არავითარი ხელმძღვანელობა არ შეეძლოთ, ამიტომ მხოლოდ ღალატის საშუალებით შეეძლოთ ფონს გასვლაო.

„პარტიამ გადასწყვიტა გაფიცვა მაშინ, როცა ის მეტად ველარ გაიზრდებოდა, რადგან უკანასკნელ მუშას უკვე მიეტოვებინა ქარხანაო“.

პროცესსი გრძელდება. მოღალატე სოციალ-დემოკრატების ბოლოვა კიდევ ბევრ რამეს ახდის ფარდას. დღეს ეს წერილი გავათავოთ მით, რომ უკანასკნელი სიტყვა მივცეთ ისევ შეიდემანს:

„1918 წლის იანვარში ჩვენ რომ ჩეკას სამსჯავროს წინ წავმდგარიყავით, აბა იფიქრეთ ბატონებო, რა აგვემართებოდა. პირადად მე კი, დარწმუნებული ვარ, რომ ჩამომახრჩობდენო“-ო.

ნუ გეშინიათ მოქალაქე შეიდემანო! ასეთი დასასრული მაინც არ აგცდებათ თავიდან.

რ. ალბერტ.

ახალი საბინაო აღმშენებლობა

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

აქ ამ დღეებში დაასრულა მუშაობა სრულიად რუსეთის საბინაო თათბირმა, რომლის დღის წესრიგშიაც განსაკუთრებული ადგილი ეჭირა ახალ საბინაო აღმშენებლობის კითხვას.

საბინაო აღმშენებლობის დარგში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი. თუ მას დღემდი ნაკლები ყურადღება ექცეოდა, იყო საამისო პატივსადები მიზეზები. ეხლა კი, როცა მუშათა ნივთიერი მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება და ამავე დროს ბინის კითხვა, რაც დღე გადის, უფრო რთულდება, როცა საბჭოთა მეურნეობის მთელ ფრონტზე გაჩაღებული ამაღორძინებელი მუშაობა სწარმოებს,—ამ საკითხის გვერდზე გადადება და საბინაო აღმშენებლობისადმი ძველებური უყურადღებობა მიუტევებელი ბოროტება იქნებოდა.

რა ელობება წინ უმთავრესად საბინაო აღმშენებლობის განვითარებას? რასაკვირველია, როგორც ყოველივე სამეურნეო საქმეში, აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ნივთიერ სალარს. ჩვენ ვიცით, რომ ომისა და რევოლიუციისაგან დაზიანებულ კომუნალურ მეურნეობას არ შესწევს იმდენი მატერიალური ძალა, რომ ის დღესვე თავის ხარჯით შეუდგეს ახალ აღმშენებლობას, რომელსაც ასე დაჟინებით ითხოვს მისგან ქალაქის საჭიროება.

ერთად-ერთი შემოსავალი წყარო, მთავარი საშვალება საალმშენებლო ფონდის მატერიალურ ბაზის შესაქმნელად ისევ არსებული, სახელმწიფოს ხელში მყოფი სახლებია. ბინის ქირა უნდა აკმაყოფილებდეს სახლის მიმდინარე ხარჯსაც და მასთანვე უნდა უტოვებდეს სახელმწიფოს განსაზღვრულ თანხას, რომელიც ახალ აღმშენებლობას მოხმარდება. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ითქვას, რომ ნაციონალიზაციაქმნილი ქალაქის უძრავი ქონების ექსპლოატაცია ნორმალურ პირობებში მიმდინარეობს.

როგორია ამ მხრივ ჩვენი ქალაქების მდგომარეობა? უნდა ითქვას გადაჭრით, რომ საბჭოთა საბინაო პოლიტიკაში დღემდე ამ მხრივ ყველაფერი რიგზე არ არის. ავიღოთ მაგალითისათვის მოსკოვში არსებული ბინის ქირის ნორმები. მართალია, ჩვენს საბინაო პოლიტიკაშიც, როგორც ყოველგან და ყოველთვის, სავსებით დაცულია კლასიური პრინციპი, ე. ი. არამშრომელი ელემენტი ბევრათ მეტს იხდის ერთ და იმავე ბინაში, ვიდრე მუშა-მოსამსახურე, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ბოლოს და ბოლოს ქირის გადამხდელთა დიდ უმრავლესობას სწორედ მშრომელი ელემენტი წარმოადგენს და მათი შემოსავლიდან იბრუნებს დღეს სულს მთელი ჩვენი საბინაო მეურნეობა. მუშა-მოსამსახურეთათვის აქ, მაგალითად, უმცირესი საფასურია 10 კაპ. ერთ კვადრ. საჟენზე და უდიდესი 1 მ. 20 კ. იმავე ერთ კვ. საჟენზე. მთელ რესპუბლიკის ფარგლებში, როგორც ეს საბინაო თათბირზე გამოირკვა, ბინის ქირა მუშა-მოსამსახურეთა ბიუჯეტის 3—5 პროცენტს შეადგენს.

ცხადია, ასეთი მდგომარეობა ვერ ჩაითვლება ნორმალურათ. რამდენადაც ვიცით, დღეს ბინის ქირა არა თუ სტოვებს სახელმწიფოს ხელში რაიმე თავისუფალ თანხას საალმშენებლო ფონდის შესაქმნელად, არამედ ვერ აუდის სახლის საამორტიზაციო ხარჯებსაც-კი. თუ ამან დიდხანს გასტანა, ის დიდ განსაცდელს უქადის საბჭოთა საქალაქო მეურნეობას.

ჩვენი ეკონომიკის საერთო აღორძინება მუშა-მოსამსახურეთა ნივთიერ მდგომარეობის ადრინდელთან შედარებით გაუმჯობესება, უკვე იძლევა იმის საშუალებას, რომ ბინის ტარიფი გადაისინჯოს და, სანამ კიდევ საქმე გვიან არ არის, საჭირო კორექტივები იქნეს შიგ შეტანილი.

საბინაო თათბირმა ამ მხრივ გამოიმუშავა საერთო ხაზი. თათბირის დადგენილების თანახმად, ბინის ქირა მომავალში უნდა შეადგენდეს ნახევარ პროცენტს ერთ კვადრ. მეტრზე მუშა-მოსამსახურის ჯამაგირისას, ანუ 2 ერთ მეოთხედი ერთ კვადრ. საჟ. მინიმუმათ 10 კ. ნაცვლათ მიღებულია 45 კ. ერთ კვადრ. საჟენზე. ამასთან ერთად ახალი დადგენილების თანახმად ბინის ქირა არამშრომელ ელემენტებისათვის ბევრათ უფრო გაზრდილია მუშა-მოსამსახურეებთან შედარებით და კლასიური პრინციპი საბინაო პოლიტიკაში კიდევ უფრო გაღრმავებულია. ამ დადგენილების ცხოვრებაში გატარების შემდეგ, უთუოდ, ბევრათ გაიზრდება სახლების შემოსავალი და ახალ საალმშენებლო ფონდის წყაროები მოიმატებს.

როგორც ვიცით, ბინის კითხვა ერთნაირათ მწვავეთ სდგას საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქებში. ახალი ქალაქი ვერა თავსდება ძველის კედლებში. საბჭოთა მართვა-გამგეობას, კერძოთ მის ეროვნულ პოლიტიკას შედეგათ მოჰყვა ადგილობრივ ერთეულების პოლიტიკური და ადმინისტრატიული ზრდა. დღევანდელ ქალაქების მცხოვრებთა რიცხვი მთელ საბჭოთა კავშირში ბევრათ უსწრებს წინ ომამდი არსებულ რაოდენობას. ამიტომ ბინის კრიზისის ტკივილებს ყველა საბჭოთა ქალაქები ერთნაირათ გრძნობენ დღეს.

ამასთან ერთად არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ბინის კითხვას დიდი ადგილი უჭირავს იმ ამოცანის გადაწყვეტაშიაც, რომელიც საბჭოთა მეურნეობის წინაშე შრომის ნაყოფიერების გაზრდის სახით დგას. თბილი, ნათელი და მშრალი ბინა ისეთივე აუცილებელი პირობაა მშრომელთა ფიზიკურ კეთილდღეობისათვის, როგორც ყოველდღიური საზრდო. ამიტომ შრომის ნაყოფიერებასთან დაკავშირებით ბინის კითხვა კიდევ უფრო აქტუალურ და საჭირბოროტო კითხვათ გადაიქცა.

ამნაირათ ბინის კრიზისის რადიკალურათ განელებაში ერთნაირათ დაინტერესებულია საბჭოთა მეურნეობის ყველა ორგანოები და მთელი სახელმწიფო. მის გადაწყვეტს და სასურველათ მოგვარებას საბჭოთა ხელისუფლებისათვის აქვს არა მარტო პოლიტიკური, არამედ უაღრესათ ეკონომიური მნიშვნელობაც.

აკ. მგონია.

მოსკოვი, 29 დეკემ.

საბჭოთა მშენებლობის მორიგი ამოცანები

უპარტიო გლეხობა უნდა ჩავაბათ საბჭოთა აღმშენებლობაში

გლეხობა იჩენს აქტივობას და ინტერესს საბჭოთა საზოგადოებრივ მუშაობისადმი.—საბჭოების არჩევნები მოხდება გლეხობის დიდი მონაწილეობით.—საბჭოებში უნდა გაიზარდოს უპარტიოთა როლი.—საბჭოთა აპარატიდან საჭიროა განიდევნოს ბიუროკრატიზმი.

მოხსენებები ადგილებიდან

მოსკოვი. 6 იანვარი. საბჭოთა აღმშენებლობის გამოსარკვევად გამართულ თათბირის 5 იანვრის საღამოს სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან.

ტვერის საგუბერნიო აღმასკომის თავმჯდომარემ პოლუიანმა ტვერის ქალაქის საბჭოს მუშაობის და ტვერის გუბერნიის სასოფლო საბჭოების და სათემო აღმასკომების მდგომარეობის შესახებ გააკეთა მოხსენება და აღნიშნა ნაკლი დაბალ საფეხურის ორგანოების მუშაობაში.

მან განაცხადა, რომ სხვადასხვა მაზრებში არჩევნები ჩატარდა გლეხობის უახლოესი მონაწილეობით. აღსანიშნავია საბჭოთა მუშაობაში გლეხ-ქალთა მონაწილეობა.

პოლტავის გუბერნიის ლიაშკოვის სასოფლო რადას თავმჯდომარემ (უპარტიო) ხაზი გაუსვა გლეხების ინტერესს პროლეტარულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებისადმი.

პენზის გუბერნიის, ნიჟნელომოვის მაზრის დაბალ საფეხურის სასოფლო საბჭოს თავმჯდომარე (უპარტიო) იაგოვი იუწყება, რომ მოუსავლობამ გამოიწვია გადასახადის შემცირება, რადგან გათავისუფლებული იქნენ მისგან ღარიბი გლეხები.

იმავე სოფლის კორესპონდენტი აღწერს ძველი საბჭოს დაუდევრობას და უყურადღებობას გლეხების ინტერესებისადმი. საბჭო, კორესპონდენტის სიტყვით, უფრო მეტს დროს ანდომებდა ქეიფს, ვიდრე საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და გლეხების განათლებას.

მოხსენებების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს პოლტავის, ორლოვსკის, კურსკის, ნოვგოროდის, მოსკოვის და ვლადიმირის გუბერნიების დაბალ საფეხურის ორგანოების წარმომადგენლებმა. ყველა ამხანაგები აღნიშნავდენ გლეხობის აქტივობის გაძლიერებას და მის სამზადისს მხარი დაუჭიროს საბჭოთა ხელისუფლებას დაბალ საფეხურის ორგანოების გაძლიერების საქმეში.

ამხ. კალინინის სიტყვა

რაში მდგომარეობს მთავარი ამოცანა.

ვიდრე შევუდგებოდეთ თათბირის საქმიან მუშაობას,—დაიწყო ამხ. კალინინმა,—მე მინდა შევჩერდე ჩვენი თათბირის მნიშვნელობაზე და იმ მიზნებზე, რომლის განხორციელებისაკენ ის მიისწრაფის.

თანამედროვე მდგომარეობის მთავარი ამოცანა,—ეს არის ხელისუფლების ორგანოების ისეთი ორგანიზაციული ფორმების გამონახვა, რომლებიც გაფურჩქვნის და გაფართოვების საშუალებას მისცემენ როგორც მუშათა კლასის, ისე გლეხთა მასების თვითმოქმედებას.

მეორე მხრით, საჭიროა, რომ ეს ფორმები აძლევდენ ერთგვარ შინაგან დაკმაყოფილებას როგორც გლეხობას, ისე მუშათა კლასს, რომ გლეხი ამ ორგანოებს უყურებდეს, როგორც თავისი ხელისუფლების ორგანოებს. უეჭველად, ეს ერთ-ერთი უძნელესი ამოცანაა—ხელისუფლების ორგანოების ისე მოწყობა, რომ ისინი იძლეოდენ გლეხთა და მუშათა მასების თვითმოქმედების განვითარების მაქსიმალურ შესაძლებლობას.

გარეგნული მხრით (და ვგონებ, არა მარტო გარეგნული მხრით, არამედ არსებითადაც) ეს ფორმები გამონახულია. უკვე ხომ 7 წელია ჩვენში არსებობენ ხელისუფლების ასეთი ორგანოები; ისინი წამოაყენეს, შეიძლება ითქვას, თვით რევოლიუციონურმა მასებმა. ეს ორგანოები გამოცდილი არიან: მათ დაგვანახვეს, რომ პრაქტიკულად შეუძლიათ მუშაობაში ფართო მასების ჩაბმის განხორციელება. მათ დაგვანახვეს, რომ მათ შეუძლიათ მასების შეკავშირება და თადარიგი მძიმე მომენტში, რომელთაც ადგილი აქვთ სახელმწიფოს ცხოვრებაში. ასეთ ორგანოებს წარმოადგენენ საბჭოები.

მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის აყვავებისას ეს ორგანოები სავსებით ითვისებდენ და შეიძლება ითქვას 100 პროცენტით აყალიბებდენ რევოლიუციონურ მასების მასიურ მოძრაობას. მაგრამ ცხოვრება ვითარდება და სახელმწიფოს მატერიალური კეთილდღეობა თანდათან უმჯობესდება.

ფორმალური მიდგომა

თქვენ, აქ დამსწრეთა დიდი უმრავლესობა, უეჭველათ მონაწილეობა იღებთ მართვა-გამგეობაში. დაე თვითეულმა თქვენგანმა მოიგონოს, თუ როგორ იწყებდით მუშაობას ან როგორ სდგამდით პირველ ნაბიჯებს მართვა-გამგეობის დროს და შეადარეთ იგი დღევანდელ თქვენს მუშაობას ამავე მართვა გამგეობაში. მაშინათვე შეამჩნევთ, რომ მთელ რიგ საქმეებს ეხლა უფრო სწორავად ასრულებთ, ვიდრე უწინ.

ამასთან უნდა ვაღიაროთ, რომ ის ხალხი, რომელმაც შეისწავლა კარგი მართვა-გამგეობა, რომლებიც წარმოადგენენ საუცხოვო ადმინისტრატორებს, ზოგჯერ აპირებენ ხოლმე თავიანთ მუშაობაში.

მასები უნდა ჩავაბათ საბჭოთა, საქმიანობაში

მასსა წარმოადგენს ძალიან მგრძნობიერ ბარომეტრს, ის ვერ იგუებს უბრალო მოუხეშაობასაც კი, არამც თუ უსასტიკეს ქცევას.

და აი ჩვენს წინაშე დასმულია პრობლემა—გამოვძებნოთ ისეთი ფორმები, რომლებიც შესაძლებლათ გახდიან ფართე მასების ჩაბმას მუშაობაში.

აი ეხლა ჩვენს წინაშე ასეთი ძნელი პრობლემებია დასმული. მათ გადაჭრას ჩვენ შევძლებთ, თუ შემოვიკრებთ მასებს, თუ ამ ამოცანების გადაჭრაში მონაწილეობას მიიღებენ ფართე მასები. ამჟამად ჩვენმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლების ორგანოებმა მასების ყურადღება უნდა მიაპყრან იმ ამოცანების გადაჭრისაკენ, რომლებიც დასმული ჩვენს წინაშე და რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ.

როგორ ჩავაბათ მუშაობაში მუშები და გლეხები?

როგორ მოვახერხოთ ეს? როგორ ჩავაბათ მუშები და გლეხები საბჭოთა აღმშენებლობაში?

რას ნიშნავს „ჩავაბათ საბჭოთა მუშაობაში“? ეს იმას ნიშნავს, რომ გამოვძებნოთ საბჭოთა ხელისუფლების ისეთი ფორმები, რომლებიც მიიზიდავენ ყოველ შემთხვევაში გლეხობის და მუშების ძირითად მასას, რომ მასები გრძნობდენ, რომ ისინი მონაწილეობას ღებულობენ ცხოვრების მიერ წამოყენებულ პრაქტიკულ ამოცანების გადაჭრაში.

რომელია ჩვენში ისეთი ორგანოები, რომლებიც ყველაზე უფრო ფართოდ აკავშირებენ მასებს, რომლებსაც ეს მასები შეეჩვიენ, სადაც მათ გამოიჩინეს თავისი მოქმედება? რასაკვირველია, ასეთ ორგანოებს წარმოადგენენ საბჭოები. არ არის არც ერთი სახელმწიფოებრივი არც საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელსაც შეეძლოს მეტოქეობის გაწევა საბჭოებთან მასების გაერთიანების საქმეში. ვერც პროფკავშირები—ერთ-ერთი უძლიერესი ორგანიზაცია თავისი წევრების რაოდენობით, ვერც კოოპერაცია სოფლად, ვერც მთელი რიგი სხვადასხვაგვარ საზოგადოებების, მაგალითად, ურთიერთ დახმარების კომიტეტები, კომკავშირი და სხვები—ვერც ერთი ამ საზოგადოებათაგანი ვერ აერთიანებენ სავსებით მთელს მოსახლეობას. მხოლოდ საბჭოები წარმოადგენენ ძირითად ორგანიზაციას, რომელიც მუშაობაში აბამს მასებს და რომელსაც მასები შეეჩვიენ. საბჭოებს მეტად ბრწყინვალე წარსული აქვთ.

თათბირის პოლიტიკური მნიშვნელობა.

მაშასადამე, ჩვენმა ამოცანამ ამჟამად წინასწარ განსაზღვრა თვით ხასიათი ეხლანდელი თათბირის, ამ თათბირს აქვს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. თათბირი მოწმობს იმას, რომ პარტია დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოებს და ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ჩვენი პარტიის ყურადღება ცაკთან შექმნილ თათბირისადმი იმის მაჩვენებელია, რომ პარტიის ცეკა დიდ მნიშვნელობას აძლევს საბჭოთა ორგანოების გავლენის გაძლიერებას. პარტია საბჭოთა ორგანოების საშუალებით უნდა დაუკავშირდეს ფართო მასებს.

უეჭველათ საჭიროა საბჭოებში უპარტიოების როლის გაძლიერება. ეხლანდელი მოწვევის უპარტიოები უფრო დიდ როლს თამაშობენ, ვიდრე წარსული მოწვევის უპარტიოები, თუმცა გარეგნულათ ეს თვალსაჩინო არ არის. უპარტიოების როლი ეხლა იზრდება. შემდეგ მოწვევამდი ის კიდევ უფრო გაიზრდება. საჭიროა მოსახლეობას დავანახვოთ, რომ მართვა-გამგეობის საქმეში ჩაბმული არიან უპარტიოებიც.

ყოველი ჩვენი გამარჯვება მოითხოვს უზომო ძალღონეს და ამ ძალღონეს ხარჯავენ არა მარტო კომუნისტები, არამედ იგი ტვირთად აწევა უპარტიო მასებსაც.

მეორე საქმეა იმ პრაქტიკულ საკითხების გადაწყვეტა და მოგვარება, რომლებაც ეხლა მორიგ ამოცანად გვაქვს დასახული. სახელმწიფოს არც ერთ ორგანოს, ან მართვა-გამგეობის არც ერთ ორგანოს არ შეუძლიან ყოველთვის იყოს სამართლიანი და ყოველივე საქმე გადასწყვიტოს სრულის სისწორით.

ყველაზე საჭირბოროტო საკითხი.

ერთის სიტყვით ყველაზე მთავარი ამოცანა, რომელიც ეხლა ჩვენ წინ სდგას—ეს არის ის, რომ საბჭოებს და განსაკუთრებით კი მის უპარტიო შემადგენლობას დავაკისროთ პასუხისმგებლობა და ამასთან შეფარდებით მივსცეთ სათანადო უფლებებიც.

საბჭოებში უპარტიოების ჩაბმის საკითხი მორიგ ამოცანათ გადიქცა ჩვენთვის. ეს ეხლა საჭირბოროტო ამოცანას წარმოადგენს.

ენერგია მასებში მხოლოდ ეხლა გროვდება და ჩვენ მას უნდა მივსცეთ შესაფერი გამოსავალი. საჭიროა ამ ენერგიის გამოყენება საბჭოთა სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ და მისი ჩაყენება საბჭოთა აღმშენებლობის კალაპოტში.

აი ჩვენი ამოცანა ეხლანდელ მომენტში: მუშათა მასებს შორის განსაკუთრებით-კი გლეხთა შორის დაგროვილი ენერგია უნდა მივმართოთ საბჭოთა აღმშენებლობის ხაზით.

კომპარტიის ამოცანები სოფლად

გლეხ-ქალთა საკავშირო თათბირი

ამხ. მოლოტოვის მოხსენება

მოსკოვი, 6 იანვარი. 5 იანვარს გაიხსნა გლეხ-ქალთა სრულიად საკავშირო თათბირი. ჩამოვიდენ დელეგატები 54 გუბერნიიდან.

ამხ. მოლოტოვმა გააკეთა მოხსენება კომპარტიის ამოცანების შესახებ სოფლად. მან განაცხადა: „პარტია მთელის ადგილებზე მომუშავე ქალებისაგან რჩევა-დარიგებებს სოფლად მომავალი მუშაობის შესახებ. უკანასკნელ დროს სოფლის საკითხი სულ უფრო და უფრო თვალსაჩინო ადგილს იჭერს პარტიულ ცხოვრებაში. პროლეტარული რევოლიუციის მერვე წელში და იმ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მეოთხე წელში, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა გლეხობისათვის, ჩვენ ვამჩნევთ სასოფლო მეურნეობის თვალსაჩინო განვითარებას. სოფლის ეკონომიური კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან ერთად, იზრდება პოლიტიკური აქტივობაც. თათბირის ამოცანაა გამოარკვიოს სოფლად ჩვენი პარტიული მუშაობის ყველა ნაკლოვანებანი.

პარტიას სოფლად ჰყავს სულ დაახლოვებით 140,000 კომუნისტი თუ არ მივათვლით პარტიის დამხმარე კომკავშირს და გლეხების ორგანიზაციებს. ჩვენი ამოცანაა გავაუმჯობესოთ პარტიულ ორგანიზაციების შემადგენლობა სოფლად და მათი მუშაობა უფრო მჭიდროთ დავუკავშიროთ სოფლის ყოველდღიურ ინტერესებს. სასოფლო პარტ-უჯრედების მუშაობა მიმართული უნდა იქნეს სოფლის საჭირბოროტო საკითხებისაკენ: სოფლის მეურნეობის გაუმჯობესებისაკენ, აგრონომიულ ლონისძიებისაკენ, მოსახლეობის კოოპერაციაში ჩაბმისა და სასოფლო საბჭოთა ორგანოების განმტკიცებისაკენ.

ჩვენი პარტიის შემადგენლობა სოფლად თანდათან უნდა განვაახლოთ და შევავსოთ საუკეთესო გლეხებით და გლეხ-ქალებით.

შემდეგ პარტიის წინაშე სდგას სოფლის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელის მომზადების საკითხი. ამ სამუშაოზე ქალაქის მუშასთან ერთად უნდა წამოვაყენოთ მოწინავე გლეხები და გლეხი-დელეგატი ქალები.

პარტიის მთავარი ამოცანა სოფლად მდგომარეობს იმაში, რომ მოვიპოვოთ ნდობა სოფლის ფართო მასებში. სოფლად აუცილებლად უნდა შევქმნათ რუსეთის კომპარტიის თანამგრძნობ მოწინავე გლეხების ფართო წრე.

ჩვენ უნდა გამოვაცოცხლოთ და გავაძლიეროთ სასოფლო საბჭოს მუშაობა. საბჭოები უნდა წარმოადგენდენ სოფლად მთელი ცხოვრების ცენტრს. ჩვენ არ უნდა დავისახოთ მიზნად სასოფლო საბჭოებში არჩეულ კომუნისტების რიცხვის გადიდება, ჩვენ უნდა ვცდილობდეთ, რომ სოფლისათვის დახმარების გაწევით მოვიპოვოთ გლეხების ნდობა.

ჩვენთვის მეტად მნიშვნელოვანია ჩავაბათ საბჭოთა მუშაობაში უპარტიო გლეხების და მუშების რაც შეიძლება მეტი რაოდენობა. მხოლოდ საბჭოთა სისტემის გაძლიერება მოგვცემს ჩვენ საშაულებას გადავლახოთ ჩვენს წინაშე არსებული პოლიტიკური და ეკონომიური დაბრკოლებანი“.

შეეხო რა უმუშევრობას სოფლად, მოლოტოვმა განაცხადა, რომ უმთავრესი გამოსავალი ამ მდგომარეობიდან—ეს არის ქალაქის მრეწველობის განვითარება, მაგრამ მოსახლეობისათვის დიდი დახმარების გაწევა შეიძლება აგრეთვე შინამრეწველობის განვითარებით.

დასასრულ მოლოტოვი შეჩერდა სოფლად კულტურული მუშაობის საკითხებზე და განაცხადა, რომ დროთა განმავლობაში კულტურული მუშაობა სულ უფრო და უფრო დიდ ადგილს დაიჭერს სოფლად.

კლარა ცეტკინის მისალმება

თათბირი მქუხარე ტაშისცემით ხვდება კლარა ცეტკინს, რომელიც ესალმება თათბირს კომინტერნის და მთელი მსოფლიოს მუშა-ქალთა სახელით.

კამათი

დასასრულ იხსნება კამათი მოლოტოვის მოხსენების გამო. კამათში მონაწილეობას ღებულობენ გლეხი ქალები დენისოვა, რადიგი, კალიტოვა, გერშოვა, გრიბანოვა და სხვები.

ყვითლების ბანაკში

ბრიუსელი. 5 იანვ. 3 იანვარს შესდგა მეორე და ამსტერდამის ინტერნაციონალების ბიუროების გაერთიანებული სხდომა. სხდომის თავმჯდომარემ ვანდერველდემ წარმოსთქვა სიტყვა „რუსეთის" საკითხში დაკავებული პოზიციის შესახებ.

„ჩვენ გვინდა უთხრათ ჩვენს მეგობრებს პროფკავშირთა ინტერნაციონალიდან (ამსტერდამის ინტერნაციონალი), რომ ჩვენ მეტათ აგვაღელვა ინგლისის დელეგაციის პოზიციამ საბჭოთა მთავრობისა და მესამე ინტერნაციონალის მიმართ. ტრედიუნიონების დელეგაციას არ წარმოუდგენია საბოლოო ანგარიში თავისი მოგზაურობის შესახებ, მაგრამ მან საჭიროთ დაინახა საერთო დასკვნები გაეკეთებია. ამას გარდა, დელეგაციის ზოგიერთმა წევრებმა, როგორც მაგალითად პერსელმა და ბრამლეიმ დელეგაციის სახელით ისეთი განცხადება გააკეთეს, რომელსაც ბოლშევიკურმა პრესამ დიდი მნიშვნელობა მისცა. დელეგაციის დასკვნებში ჩვენ ვხედავთ პოლიტიკურ განცხადებებს, რომლებსაც დამღუპველი შედეგები მოჰყვება".

ვანდერველდეს ამ გამოსვლის საპასუხოთ საფრანგეთის შრომის კონფედერაციის (რეფორმისტული) თავმჯდომარემ **ჟუომ** განაცხადა:

„ჩვენ არ ვფიქრობთ ამ ჟამათ ამ საკითხის განხილვას შემდეგი მიზეზების გამო: პირველი, ინგლისის დელეგაცია რუსეთში არ ყოფილა ამსტერდამის ინტერნაციონალის წარმომადგენელი, მეორე—ჩვენ გვინდა რამოდენიმე კითხვა მივცეთ პერსელს, მესამე—ინგლისის დელეგაცია ჯერ არ ჩამოსულა აქ".

რვა საათის სამუშაო დღისა და ვაშინგტონის შეთანხმების რატიფიკაციის შესახებ მიღებულია დადგენილება, რომლის ძალით ეს საკითხი აღძრული უნდა იქნეს ყველა სახელმწიფოებში ამ სახელმწიფოების პარლამენტების საშუალებით; ეს საკითხი უნდა აღიძრას საფრანგეთის მიერ ვაშინგტონის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ.

პარიზი. 5 იანვ. ამსტერდამის ინტერნაციონალის ბიურო და მეორე ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომები ბრიუსელში საიდუმლოთ ხდება. ჟურნალისტები არ დაუშვეს სხდომაზე.

საიდუმლოების ატმოსფერა ძლიერდება იმის გამო, რომ სხდომის ადგილი ყოველდღე იცვლება; ორგანიზატორებს ეშინიათ რევოლუციონერ მუშების, რომლებიც ცდილობენ შეიჭრან სხდომებზე, რომ გამოაქვეყნონ ის დისკუსია, რომელიც იქ ხდება.

მთავრობის კრიზისი გერმანიაში

პარიზი. 6 იანვ. რეიხსკანცლერი მარქსი შაბათს განაგრძობდა მოლაპარაკებას [illegible] ზეპარტიული კაბინეტის შედგენის შესახებ. ფიქრობენ, რომ კაბინეტი შევსებული იქნება ერთი ან ორი ნაციონალისტით, რომლებიც ამავე დროს არ შედიან ნაციონალისტურ პარტიაში. მარქსს იმედი აქვს, რომ შექმნის ძლიერ მთავრობას, რომელიც დაეყრდნობა დემოკრატებს, ცენტრის პარტიას, სახალხო პარტიას და ნაციონალისტებს. ალბად, ასეთივე ხაზი იქნება გატარებული პრუსიის კაბინეტის საკითხის გადაწყვეტის დროსაც.

პარიზი. 6 იანვ. ბერლინიდან მიღებული ცნობებით, გაიხსნა რეიხსტაგი. სახალხო პარტიის წინადადება იმის შესახებ, რომ რეიხსტაგის სესია გადადებული ყოფილიყო კაბინეტის შედგენამდი, უარყოფილი იქნა. მიღებული იქნა კომუნისტების წინადადება იმის შესახებ, რომ ხუთშაბათისათვის დანიშნულ სხდომის დღის წესრიგში შეტანილი იქნეს საკითხი დაპატიმრებული დეპუტატების განთავისუფლების შესახებ.

ფაშიზმის წინააღმდეგ

პარიზი. 6 იანვ. იტალიის პარლამენტმა შესწყვიტა მუშაობა განუსაზღვრელი დროით. მუსოლინის გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნებული იქნა დადგენილება საგანგებო ზომების შემოღების შესახებ.

ლონდონი. 5 იანვარი. რომიდან მიღებულ ცნობების თანახმად, სალანდრა, როგორც იტალიის დელეგაციის თავმჯდომარე ერთა ლიგაში, გადადგა, რადგან ის შევიდა ოპოზიციის რიგებში.

ანტანტის ნოტა გერმანიისადმი

ლონდონი, 6 იანვარი. მოკავშირე სახელმწიფოების კოლექტიური ნოტა კელნის ზონის საკითხის შესახებ გადაეცა გერმანიის მთავრობას ორშაბათს.

ნოტის შინაარსი ასეთია:

„ვერსალის ხელშეკრულების 428 მუხლი 1919 წლის 28 ივნისის თარიღით ითვალისწინებს, რომ გერმანიის ტერიტორია, რომელიც მდებარეობს რეინის დასავლეთით ხიდების გარშემო მდებარე ადგილებთან ერთად დაკავებული იქნება მოკავშირე ჯარების მიერ 15 წლის განმავლობაში ვერსალის ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, რაც წარმოადგენს გარანტიას იმისას, რომ გერმანიამ შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები.

მოკავშირე მთავრობებს საშუალება აქვთ ეხლა არ დაუცადონ 1925 წლის 10 იანვარს და აცნობონ გერმანიის მთავრობას, რომ მათ მიიღეს საბუთები, რომლებიც მოწმობენ, რომ გერმანიას კიდევ არ შეუსრულებია ეს პირობები და ის ვერც შესძლებს 10 იანვრისათვის იმ პირობების შესრულებას, რომლებიც გათვალისწინებულია ვერსალის ხელშეკრულების 429 მუხლში. ეს გარემოება უფლებას უსპობს გერმანიას ისარგებლოს ნაწილობრივი ევაკუაციის უპირატესობით. ეს გარემოება ხელშეკრულების მე-5-ე ნაწილის ძალით, საკმაო უფლებას აძლევს მოკავშირე მთავრობებს მიიღონ გადაწყვეტილება, რომელიც გამომდინარეობს მოკავშირეების სამხედრო-საკონტროლო კომისიის მიერ შეკრებილ ცნობებიდან იმის შესახებ, თუ როგორ ასრულებდა გერმანია ხელშეკრულების სამხედრო მუხლებს".

გლეხების დევნა პოლონეთში

ვარშავა. მემამულეების საიდუმლო თათბირზე ტუგუტმა განაცხადა, რომ პოლონეთის მთავრობას განზრახვა აქვს მემამულეებზე თავდასხმის თავიდან ასაცილებლად აღმოსავლეთ ოლქებში შემოიღოს გლეხების საერთო თავდებობა. ამის საპასუხოდ დასავლეთ ბელორუსიის კომპარტიის ცეკამ განაცხადა, რომ თუ პოლონეთის მთავრობა აღმოსავლეთ ოლქებში შემოიღებს გლეხების საერთო თავდებობას თუ ის გაბედავს ამ მუქარის განხორციელებას და დაიწყებს გლეხების მოკვლას და მათი ქონების დაწვას, მაშინ **მთელი კომუნისტური პარტია, როგორც ერთი კაცი, იძულებული იქნება გამოვიდეს გლეხების დასაცავად. მაშინ პოლიციის მხეცური მოქმედებისათვის პასუხისმგებელი იქნებიან მემამულეები, ქსენძები და მოხელეები. ყველა ისინი, მიუხედავათ მათი პირადი ღირსებებისა, პასუხს აგებენ მოკლულ ბელორუსელ გლეხებისა და მათი დამწვარი ქონებისათვის.**

ღირსეული პასუხი მიიღო

ანგორა. 4 იანვ. მეჯლისში შეტანილი იყო შეკითხვა, თუ რამ გამოიწვია ინგლისის მთავრობის ოფიციოზის „ორიენტ ნიუზ"-ის დახურვა, რომელიც სტამბოლში გამოდიოდა; ამის საპასუხოთ კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ფეტხი-ბეიმ განაცხადა შემდეგი: „სარგებლობდა რა ოსმალეთის ხალხის სტუმართმოყვარეობით, გაზეთი „ორიენტ ნიუზ"-ი იქამდი მივიდა, რომ ის პროპაგანდას ეწეოდა სატახტო ქალაქის სტამბოლში გადატანის სასარგებლოთ და ამავე დროს ბარბაროსებს უწოდებდა ოსმალეთის მთავრობის წევრებს, რომლებმაც, თითქოს დაანგრიეს სტამბოლი. ჩვენ არავის არ მივცემთ ნებას ასეთი ენით ილაპარაკოს და საერთოდ ჩაერიოს ჩვენს შინაურ საქმეებში".

პრემიერის სიტყვის დროს გაისმოდა მკაცრი რეპლიკები ინგლისის წინააღმდეგ.

ციკლონი გერმანიაში

პარიზი. 6 იანვარი. ციკლონების მოქმედების რაიონი გავრცელდა სამხრეთ და დასავლეთ გერმანიაზე, სადაც საშინელ ნიაღვრებით გამოწვეულია წყალდიდობა, რის გამოც დიდი ზარალი აქვს მიყენებული მცხოვრებლებს. კარსრულიდან იუწყებიან ტემპერატურის მოულოდნელ დაცემის შესახებ. 10 გრადუსი სითბო უცებ შეიცვალა რამდენიმე გრადუსი სიცივეთი.

ჰამბურგის [illegible]სადგურში წყალმა უზომოთ აიწია. ბერლინში 12 გრადუსი სითბოა.

უკანასკნელი ცნობები

ყვითლების ყრილობაზე

პარიზი. 6 იანვარი. პარასკევს ბრიუსელში გაიხსნა მეორე ინტერნაციონალის ბიუროს სხდომა. სხდომის გახსნისთანავე რუსი მენშევიკი დანი გამოვიდა სიტყვით საქართველოს შესახებ: მან განაცხადა: ბრომლეიმ სთქვა, რომ საქართველოს ხალხმა საბჭოთა ხელისუფლების დროს ნორმალური განვითარების საშუალება მიიღო.

დანი კითხულობს: ვისი სახელით ლაპარაკობდა ინგლისის პროფკავშირების გენერალური საბჭოს მდივანი—თავისი თუ ინგლისის მუშების სახელით,—როცა ასეთ განცხადებას აკეთებდა.

დანის გამოსვლა გახდა საბჭოთა მთავრობაზე თავდასხმის დაწყების ნიშანი.

მაგრამ ინგლისის მუშათა პარტიის დელეგაცია არ წამოეგო ანკესზე და განაცხადა, რომ ეს არის თვით ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის საქმე.

ინგლისის დელეგატებმა გარკვევით აგრძნობინეს სხდომის მონაწილეებს, რომ არ შეუერთდებიან არავითარ ანტისაბჭოთა დეკლარაციას.

ორივე სხდომაზე არ ყოფილა ინგლისის პროფკავშირების დელეგაცია, რომელიც ჯერაც არ ჩამოსულა ბრიუსელში.

5 იანვრის დილის სხდომაზე ჟენევის ოქმისათვის კენჭის ყრის დროს ინგლისის დელეგაციამ თავი შეიკავა.

ინგლისის დელეგაციის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, როსტას თანამშრომელთან საუბრის დროს განაცხადა:

„ჩვენ ვერ ვიკისრებთ ვალდებულებას, რომ მხარს დაუჭერს პროექტს, რომელიაც შეიძლება მოჰყვეს დამოკიდებულებების გართულება რუსეთთან, რადგან ინგლისის მუშები არ იბრძოლებენ რუსეთის წინააღმდეგ".

ინგლისის დელეგაციის ამ განცხადებამ გამოიწვია რუსეთის საკითხის შესახებ დისკუსიის გაგრძელება.

მოელიან, რომ მოახდენენ ცდას კვლავ აღძრან საქართველოს საკითხი. ამას ადასტურებს გამოსვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ბრიუსელში: საჯარო მიტინგზე ვანდერველდემ გააცნო დამსწრეთ წერეთელი, რომელიც უწოდებდა თავის თავს ქართველი სოციალისტების და ქართველი ხალხის წარმომადგენელს.

ბრიუსელში მყოფ ინგლისელ დელეგატების დაკითხვა ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის, რომ ინგლისის პროფკავშირების დელეგაციის მოხსენება საბჭოთა კავშირის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობის შესახებ, დამტკიცებული იქნება ტრედ-უნიონების გენერალურ საბჭოს მიერ.

რაც შეეხება ინგლის-საბჭოთა პროფმოძრაობის მთლიანობის კომიტეტის ანგარიშს, მას შეუძლია სერიოზული უთანხმოება გამოიწვიოს გენერალურ საბჭოში, თუ ამსტერდამის ინტერნაციონალი უარს იტყვის მუშათა ფართე კონგრესის მოწვევაზე.

რეიხსტაგის გახსნა.

ბერლინი. 6 იანვარი. გერმანიის რეიხსტაგის გახსნა მოხდა შედარებით მშვიდობიან პირობებში. სხდომის დარბაზში შესვლისთვის სასტიკი კონტროლია შემოღებული: ამით სურთ ხელი შეუშალონ საქარხნო-საფაბრიკო წარმოებების დელეგაციის შესვლას სხდომის დარბაზში ამნისტიის მოსათხოვათ.

მხოლოდ 20 დეპუტატი დაუშვეს რეიხსტაგში. კომუნისტების სკამების დიდი ნაწილი ცარიელია (მათი ნაწილი ადრე დააპატიმრეს). სხდომის დასასრულისათვის დარბაზში იმყოფება 38 კომუნისტი-დეპუტატი.

კომუნისტ ტელმანს შეაქვს წინადადება დღის წესრიგში დაისვას ორი საკითხი:

1. პოლიტიკურ პატიმართა ამნისტია და 2) დაპატიმრებულ კომუნისტების დაუყოვნებლივ განთავისუფლება.

„თუ რეიხსტაგი არ გაანთავისუფლებს პოლიტიკურ პატიმრებს, მშრომელი მასები გადავლენ შეტევაზე და თვითონ გაანთავისუფლებენ მათ"—ასე ათავებს თავის სიტყვას ტელმანი.

სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ბელადი გერმან მიულერი მხარს უჭერს კომუნისტების წინადადებას, რომ დაისვას განსახილველად საკითხი დეპუტატების განთავისუფლების შესახებ; რაც შეეხება საყოველთაო ამნისტიას, ეს საკითხი, მიულერის აზრით, შეტანილი უნდა იქნას დღის წესრიგში რაც შეიძლება დაჩქარებით.

მიულერის ამ განცხადებამ ხმამაღალი აღშფოთება გამოიწვია კომუნისტებს შორის.

ცენტრის ფრაქცია მხარს უჭერს სოციალ-დემოკრატების წინადადებას, რომ ოთხშაბათს მოხდეს რეიხსტაგის პრეზიდიუმის არჩევნები.

კომუნისტი დეპუტატი კენენი აცხადებს: „როგორც ცენტრის და სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლების სიტყვებიდან სჩანს, ახალი რეიხსტაგი უფრო რეაქციონური იქნება. თუ რეიხსტაგი თითქო დათმობაზე მიდის კომუნისტების მიმართ ამნისტიის საკითხში, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ გარეთ იმყოფება ფაბრიკა-ქარხნების დელეგაცია".

კომუნისტების წინადადება, რომ ოთხშაბათის სხდომაზე კენჭი ეყაროს კომუნისტების წინადადებას დაპატიმრებულ დეპუტატების განთავისუფლების შესახებ, მიღებულია უმრავლესობით.

კომუნისტების წინადადება პოლიტიკური ამნისტიის შესახებ უარყოფილ იქნა ხმების უმრავლესობით. ამ წინადადების წინააღმდეგ გაილაშქრეს აგრეთვე სოციალ-დემოკრატებმაც.

რა მიუსაჯეს რუტენბერგს.

ნიუ-იორკი. 6 იანვარი. ამერიკელ კომუნისტს რუტენბერგს მიუსაჯეს 10 წლის ციხე და 5000 დოლარის ჯარიმის გადახდა.

მენშევიკების „თეორია".

პარიზი, ვანდერველდე ეხება რა გაზ. „კოტიდიენ"-ის ფურცლებზე ამსტერდამის და ლონდონის ინტერნაციონალების კონფერენციის პროგრამას, სწერს:

„კაუცკის მემორანდუმ საფუძვლად დაედება დისკუსიას იმ საკითხის შესახებ, თუ როგორი პოზიცია უნდა დაიჭირონ ინტერნაციონალებმა კომუნისტების მიმართ. კაუცკი ამტკიცებს, რომ სოციალ-დემოკრატიამ არაფერი საერთო არ უნდა იქონიოს ბოლშევიზმთან. სოციალისტები უნდა ებრძოლონ დესპოტიზმს, რომელიც ჟლეტს და აწამებს რუსეთის ერებს. თუ არსებულ პირობებში უარყოფილი უნდა იქნას აჯანყების ცდები, რომელთაც გამარჯვების არავითარი შანსები არა აქვთ, მაინც ყოველ შემთხვევაში სოციალისტურმა პარტიებმა უნდა შეისწავლონ რუსეთის მდგომარეობა, რათა მხარი დაუჭირონ რუსეთის ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში".

ვანდერველდეს აზრით, ორივე ინტერნაციონალები შეთანხმდებიან, რომ საჭიროა კომუნისტების განხრწნელი გავლენისათვის წინააღმდეგობის გაწევის გაძლიერება.

მორიგი ჭორი

მოსკოვი. 5 იანვარი. კომინტერნის სამდივნო იუწყება: სამხრეთ-სლავიის მთავრობის პრესის მიერ გამოქვეყნებული ხელშეკრულება კომინტერნსა და ნორვეგიის რესპუბლიკანურ გლეხთა პარტიას შორის აშკარა პროვოკაციულ სიყალბეს წარმოადგენს.

კომინტერნი არასოდეს არ აწარმოებდა არავითარ მოლაპარაკებას ამ პარტიასთან ან რადიჩთან, კომინტერნს არ მოუწერია ხელი არავითარ ხელშეკრულებაზე რადიჩთან ან მისი პარტიის რომელიმე წარმომადგენელთან.

კომინტერნის არც ერთ ორგანოში ან აპარატში არ არის თანამშრომელი გვარათ სმირნოვი ან სმიროვი.

გამოქვეყნებული დოკუმენტის შინაარსი მოგვაგონებს იგივე წაბაძვას მესამე კონგრესის 21 მუხლისადმი, წაბაძვას, რომელიც შეთითხნილია ვინმე უვიცი პოლიციელის მიერ.

ესტონეთის ჯალათები ,,მუშაობენ"

ლონდონი. 4 იანვარი. ლონდონში ახლახან დაბრუნდა ესტონეთიდან მუშათა პარტიის წევრი სიუზანა ლაურენს, რომელმაც „დაილი ჰერალდში" დაბეჭდა წერილი ესტონეთში მდგომარეობის შესახებ. ამ წერილში სხვათაშორის ნათქვამია:

„რეპრესიებმა საშინლად დააშინა ყველანი. სიკვდილით დასჯილთა რიცხვის სისწორით გამორკვევა შეუძლებელია, რადგან ოფიციალური ცნობები არ გამოქვეყნებულა. მთავრობის წრეებში მე გადმომცეს, რომ დახვრიტეს 3000-დი კაცი, მაგრამ ქალაქში ლაპარაკობენ უფრო დიდ რიცხვზე.

საქმეებს არჩევს სამხედრო-საველე სასამართლო—დახურულ კარებში.

ესტონეთის ციხეები გავსებულია.

ყველა პროფკავშირები, რომლებიც პროფინტერნს ემხრობიან, დახურეს".

მდგომარეობა ლენინგრადში

ლენინგრადი. 6 იანვარი. წყალმა, რომელმაც აღიდება დაიწყო 5 იანვარს დილის 7 საათზე, დილის 11 საათისათვის მიაღწია 2 ფუტს და 7 დიუიმს, რის შემდეგაც წყლის დონემ იწყო დაკლება, მაგრამ მეტათ ნელა. წყლის დონეს ასეთი ნელი დაკლებისა და ახალი ციკლონის ამოვარდნის შესაძლებლობის გამო შეიქმნა გამოურკვეველი მდგომარეობა. 5 იანვარს დღის 3 საათზე წყალმა ისევ იწყო მატება.

საქართველოს მასწავლებელთა პირველი ყრილობა

5 იანვრის დილის სხდომა

სხდომა გაიხსნა 12 საათზე.

შედის პრეზიდიუმში შემდეგი წინადადება: ვინაიდან ყრილობაზე არიან სხვა ეროვნების წარმომადგენელი მასწავლებლები, ამხ. ამხ. მამია ორახელაშვილის და ფ. მახარაძის მოხსენება გადათარგმნილ იქნეს რუსულ ენაზე. მომხსენებლების ამ სხდომაზე დაუსწრებლობის გამო ამ დავალებას ასრულებს ამხ. ჯაკობია.

კამათი

მოხსენებების ირგვლივ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ლორთქიფანიძემ, გაბისონიამ, ცინცაძემ და მრავალმა სხვა დელეგატმა.

თითეული ორატორი, ეხება რა თავის რაიონის მდგომარეობას, ხაზგასმით აღნიშნავენ იმ აღმშენებლობითი მუშაობას, რომელიც აჩქარებულის ტემპით სწარმოებს საქართველოს ყოველი კუთხის ცხოვრების ყველა დარგში, ამასთანავე ზოგიერთი დელეგატი გულის ტკივილით აღნიშნავს იმ უნდობლობას, რომელსაც ადგილი ჰქონდა ხელისუფლების წარმომადგენლებს მასწავლებელთა შორის, რაც ხელს უშლიდა და ნაწილობრივ ეხლაც უშლის შეკავშირებულს და ორგანიზაციულ ნაყოფიერ მუშაობას. საქართველოს მასწავლებლობა, რომელიც, უმნიშვნელო ნაწილის გამოკლებით, ყოველთვის წარმოადგენდა საზოგადოების პროგრესიულ ნაწილს და მედგრათ ებრძოდა თვითმპყრობელობას და თვით მენშევიკების ბატონობასაც საქართველოში, არ შეუძლია ხელდაკრეფილი გულგრილად უყუროს მშრომელი ხალხის კულტურულათ და ეკონომიურად აყვავებისათვის კვლავ წარმოებულ მუშაობას და იგი ხელიხელ ჩაკიდებული ივლის კომპარტიასთან ერთად.

უკვე ოთხი საათი შესრულდა. კამათი გადაიდვა საღამოს სხდომისათვის.

საღამოს სხდომა

ყრილობის მორიგი სხდომა გაიხსნა საღამოს 6 საათზე.

მოხსენება საჰაერო ფლოტის შესახებ

სიტყვა საინფორმაციო მოხსენებისათვის ეძლევა საჰაერო ფლოტის წარმომადგენელს ამხ. ხჩინოვს, რომელიც აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს საჰაერო ფლოტის გაძლიერებას და მოუწოდებს მასწავლებლობას ხელი შეუწყონ მის პოპულარიზაციას ხალხის ფართე მასაში. ამხ. ხჩინოვმა გადასცა პრეზიდიუმს ოცდაათი ბილეთი პროვინციის დელეგატებისათვის თბილისის მიდამოებში ასაფრენათ.

გრძელდება კამათი ამხ. ამხ. ორახელაშვილისა და ფ. მახარაძის მოხსენებების ირგვლივ.

კამათი

კამათში მონაწილეობას ღებულობს მთელი რიგი ორატორებისა (აფხაზეთის დელეგატმა წარმოსთქვა სიტყვა აფხაზურ ენაზე), რომელნიც აღნიშნავენ, რომ მიზეზი მასწავლებლობის კომპარტიისაგან დაცილებისა იყო გავლენა მენშევიკებისა, რომელნიც ბარბაროსებათ და ველურებათ ნათლავდენ ბოლშევიკებს; ამ უარყოფით გავლენას ზედ ემატებოდა მასწავლებელთა აუტანელი ეკონომიური მდგომარეობა.

ანტაგონიზმი, ბუტიაობა ხელისუფლებასა და მასწავლებელთა შორის თანდათან ღრმავდებოდა, რამაც უფ[illegible] განსაკუთრებით პროვინციებში. გამოითქვა აზრი, რომ მასწავლებელთა და კომპარტიის დაახლოვების მიზნით ხელისუფლებამ გააფრთხილოს ის უპასუხისმგებლო პირნი, რომელნიც შეუფერებელ პოლიტიკას აწარმოებენ ზოგიერთ უდანაშაულო მასწავლებლების მიმართ.

გათავებულ კამათის შემდეგ საბოლოო სიტყვა ეძლევა ამხ. მამია ორახელაშვილს.

ამხ. მამია ორახელაშვილის საპასუხო სიტყვა

დელეგატების გამოსვლების შემდეგ საპასუხო სიტყვას ამბობს ამხ. მამია ორახელაშვილი, რომელიც პირველად ვრცელ პასუხს აძლევს წერილობით შეკითხვებზე. ამხ. მამია უარყოფს ერთ-ერთ შემკითხველის მოსაზრებას, თითქოს საბჭოთა დაწესებულებებში სამსახური ეძლეოდეთ მხოლოდ პარტიულებს—კომუნისტებს. საქართველოს წარმოებებსა და დაწესებულებებში მუშაობს სულ 120 ათასამდე მუშა მოსამსახურე, ხოლო პარტიულების რიცხვი კანდიდატებითურთ 20 ათასს არ აღემატება. ცხადია, ეს უკანასკნელი რიცხვი ვერ გაუძღვება ჩვენს წარმოება-დაწესებულებათა საჭიროებას.

ერთ შეკითხვაზე: იქცევა თუ არა სასოფლო ლიტერატურის გავრცელებას [illegible] ყურადღება, ორატორი უპასუხებს, რომ გლეხურ ლიტერატურის გამოცემა, მინდობილი აქვს ახალ გამომცემლობას, რომელიც ამ მოკლე ხანში შეუდგება სათანადო წიგნების გამოშვება-გავრცელებას. რაც შეეხება სასკოლო საკითხების პრესაში გაშუქებას, ამხ. მამია დაპირებას იძლევა, რომ საბჭოთა და პარტიულ პრესის გამოცემებში ამ საკითხს ყოველთვის დაეთმობა განსაზღვრული ადგილი.

შემდეგ მომხსენებელი, რომელსაც მასწავლებელთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები მიაჩნია არა პოლემიკად, არამედ აზრთა საქმიან გაცვლა-გამოცვლად, არსებითად უპასუხებს ოპონენტებს.

ზოგიერთთაგან მთელი მასწავლებლობის ერთბაშად კონტრ-რევოლუციონერების ან რევოლუციონერების ბანაკში ჩარიცხვა—ორატორის აზრით არის საკითხის განმარტივება. მასწავლებლობა, როგორც ერთი იდეოლოგიის მატარებელი, არ არსებობს. მასწავლებლების რევოლუციონერობის დამახასიათებლად არ კმარა მხოლოდ ის, რომ მისი უმრავლესობა მუშურ-გლეხური წრიდან არის გამოსული. როგორც ყველგან, ისე ჩვენში მასწავლებლობა [illegible] სხვა და სხვა პოლიტიკურ ჯგუფებს, [illegible] სხვა და სხვა მიმართულებას. მათ შორის იყვნენ რევოლუციონერებიც და არა რევოლუციონერებიც. არც ის შეეფერება სიმართლეს, თითქოს ქართველი მასწავლებლობა მთლიანად სა[illegible] საბჭოთა ხელისუფლების მიმართ. მენშევიკებმა [illegible] ვერ შეძლეს მუშათა ერთი პოლიტიკური გამოსვლა მაინც მოეწყოთ. მათ პროპაგანდას აჰყვა მხოლოდ ნაწილი მასწავლებლობის, რომელმაც გასაბჭოების პირველ ხანებში თბილისსა და პროვინციებში სადემონსტრაციოდ გამოიყვანეს მოსწავლე ახალგაზრდობა. ცხადია მასწავლებლობის ნაწილის ასეთი მტრული დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ ხელს შეუწყობდა ზოგიერთი პარტიულის შეგნებაში იმ შეხედულების გაძლიერებას, რომ მასწავლებლობა არ არის რევოლუციონურად განწყობილი. საჭიროა ორივე მხარის მიერ თავის შეცდომების გულახდილი აღიარება, რომ ბოლო მოეღოს ერთიმეორისაგან განზე დგომას და გაბუტვას. მართალია ის, რომ ზოგიერთი პარტიული აჭარბებდა, უნდობლად ეპყრობოდა ჩვენს ინტელიგენციას, მაგრამ ეს არ არის პარტიის საერთო ხაზი, რომელიც ინტელიგენციის მიმართ ლენინის დირექტივების თანახმად სწორად იქნა აღებული გასაბჭოების პირველ ხანებშივე. ნუ დავაკისრებთ ყველა დანაშაულს და შეცდომებს ერთს რომელიმე მხარეს, ვაღიაროთ გულწრფელად, რომ ორივეს მოგვიძღვის შეცოდებანი ერთი მეორის წინაშე. დეე იყოს ეს ყრილობა ისტორიული იმ მხრივ, რომ ხელისუფლება, პარტია და მასწავლებლობა მეგობრულად ხელიხელ გაწვდილნი ამ ყრილობიდან გამოსულიყვნენ საერთო საქმის მოამაგენი.

ამხ. მამიას სიტყვას მასწავლებლობა ხვდება ერთსულოვანი ქუხარე ტაშით.

ამხ. ფილიპე მახარაძე

ამხ. ფილიპე მახარაძე თავის საპასუხო სიტყვაში [illegible] ვრცლად ეხება იმ მიზეზებს, რომელმაც ხელი შეუწყო ხელისუფლების და მასწავლებლობის გათიშვას. დასასრულ ორატორი გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ მასწავლებლობა ხელისუფლების პარტიასთან ერთად იქნება განუყრელი თანამშრომელი ხალხის საუკეთესო მერმისისათვის.

მასწავლებლობამ, დარჩა რა დიდი კმაყოფილი პარტიის ხელმძღვანელთა ასეთი მოპყრობით, თავის მხრივ აღუთქვამს გულწრფელად შეასრულოს მასზე დაკისრებული მძიმე მოვალეობა.

სხდომა დასრულდა სრულ ათ საათზე.

დელეგატები ზემო-ავჭალაში

ამხ. მარიამ ორახელაშვილის წინადადებით, გუშინ, დილის ათ საათზე, დელეგატები გაემგზავრენ ავჭალაში ელექტრონის სადგურის ასაშენებლათ წარმოებულ მუშაობის დასათვალიერებლათ.

იმავე დღის საღამოს ხუთ საათზე შესდგა ყრილობის მორიგი სხდომა.

ა.-კავკ. ცაკის დაბრუნება სომხეთიდან

5 იანვარს ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. მ. ცხაკაია, ცაკის წევრები: ს. ხანოიანი და ს. იაკუბოვი ერევანიდან ჩამოვიდნენ კარაკლისში და გაემგზავრენ ახლომდებარე სოფელ ვართანლოში. ეს სოფელი დაშნაკელების მიერ სრულებით განადგურებულ იქნა, მუსლიმანური მოსახლეობა ამოჟლიტა, ნაწილმა კი გაქცევით უშველა თავს. მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო სოფლის აღდგენა; გადარჩენილი მუსლიმანები დაბინავებულ იქნენ თავიანთ ადგილზე, აქვე დასახლებულ იქნენ როგორც ადგილობრივი, ისე ლტოლვილი სომხები ოსმალეთიდან. ეხლა ისინი მეგობრულად სცხოვრობენ, არავითარ უთანხმოებას მათ შორის ადგილი არ აქვს და წყევლა-კრულვით იგონებენ წარსულ დროს.

ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე გაეცნო სოფლის მდგომარეობას, გლეხობის საჭიროებას და 1000 მან. დაუთმო სასოფლო-საზოგადოებრივ დაწესებულებებს.

ვართანლუდან დაბრუნებისას ქალაქ კარაკლისში შესდგა მუშა-მოსამსახურეთა საზეიმო სხდომა, რომელზედაც მისასალმებელი სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ცხაკაია, ხანოიანი და იაკუბოვი. შემდეგ ცაკის წევრებმა ინახულეს ქალაქის მილიცია, ტერიტორიალური ნაწილები და სხვა დაწესებულებები.

კარაკლისიდან ცაკის წევრები გაემგზავრენ სანაინისაკენ, სადაც ვაგზალზე მათ უცდიდენ მუშა-მოსამსახურეები, მოწაფეები და პიონერები დროშებით. მოკლე მისალმების სიტყვების შემდეგ ცაკის წევრები გაემგზავრენ ალავერდის ქარხნებისაკენ, სადაც აგრეთვე შესდგა მიტინგი. მიტინგის შემდეგ ცაკის წევრები გაემგზავრენ ზედა ალავერდში ბერძნულ სოფელში. სოფლის მოსახლეობა დიდი ზეიმით შეხვდა ხელისუფლების უმაღლეს წარმომადგენლებს. სოფლის მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ ალავერდის ქარხნების კვალიფიციური მუშები, რომელთა უმრავლესობა დღეს უმუშევარია. ამხ. ცხაკაია გაეცნო მათ მდგომარეობას და დაპირდა დახმარების გაწევას. სასოფლო დაწესებულებას მიეცათ დახმარება ფულით.

6 იანვარს დილით ამხ. ცხაკაია, ს. ხანოიანი და ს. იაკუბოვი დაბრუნდენ თბილისში.

შერეულ სანაპირო კომისიის მეორე პლენარული სხდომა

5 იანვარს სასახლეში ამიერ-კავკასიის სოც. ფედერატ. საბჭ. რესპუბლიკის სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტში საბჭოთა კავშირის დელეგაციის თავმჯდომარის ამხ. კარკლინის და ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარის მიქ. გალიბ-ბეის თავმჯდომარეობით, გაიმართა შერეულ სანაპირო კომისიის მეორე პლენარული სხდომა. ამ სხდომაზე განხილული იქნა მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც ეხება შერეულ კომისიის უშუალო მუშაობას საზღვარზე. განხილული, შეთანხმებული და დამტკიცებული იქნა ტეხნიკური ინსტრუქცია, რომელიც ვანსაზღვრავს ორივე მხარესათვის მომავალ მუშაობის მთავარ მომენტებს, ე. ი. რამდენად და რა რაიონებად ნაწილდება გამოსარკვევი საზღვარი, როგორი წესით იქნება გამომუშავებული სანაპირო ნიშნები; როგორი წესით მოხდება გადაღება, როგორ იქნება იგი შეთანხმებული, საბოლოოთ ჩამოყალიბებული და სხვა. და აგრეთვე სხვა საკითხები, რომელიც ეხება პრაქტიკულ მუშაობის ადგილებზე.

მეორე მხრივ ურთიერთ შეთანხმებით შემუშავებული და დამტკიცებული იქნა მთავარი დასაყრდენი პუნქტები, რომლითაც თავის მუშაობის დროს იხელმძღვანელებს შერეული კომისია საზღვრების ორივე მხარეზე, როგორც ოსმალეთის რესპუბლიკის, ისე საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე.

უმთავრესი საკითხი ეხებოდა იმას, თუ როდის დაიწყება სანაპირო მუშაობა ადგილებზე. საბჭოთა კავშირის დელეგაციამ გამოსთქვა სურვილი, რათა მუშაობა დაიწყოს საზღვარზე რაც შეიძლება ჩქარა, თუნდაც თუ შესაძლებელი იქნა, იანვარში. ოსმალეთის რესპუბლიკის დელეგაცია ასაბუთებდა თავის მოსაზრებას ადგილობრივ კლიმატიურ, [illegible] და ამტკიცებდა, რომ მუშაობის დაწყება შესაძლებელია მხოლოდ მაისში. ორივე მხარეს მოსაზრებათა დეტალურად განხილვის შემდეგ, მიღებული იქნა საბჭოთა კავშირის დელეგაციის თვალსაზრისი, რომლის თანახმად მუშაობის დაწყების საბოლოო ვადათ სამხრეთ-აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მიღებული იქნა 15 თებერვალი; ასე რომ ორივე დელეგაცია ხელახლა ხვდებიან ერთმანეთს ქვემო კარასის არაქსის შესართავის პუნქტში, საიდანაც შერეული კომისია გაიყვანს საზღვარს.

გარდა ამისა დამტკიცებული იქნა შერეული კომისიის პირველ პლენარულ სხდომის ოქმი.

სხდომის დასრულების წინ ოსმალეთის დელეგაციის თავმჯდომარემ გალიბ-ბეიმ გულწრფელი მადლობა გამოუცხადა საკავშირო დელეგაციას, რომელმაც მისი სიტყვით, შესძლო საქმიანი თვალსაზრისით მიდგომოდა წინასწარ საკითხებს, რომელთა გადაჭრა საჭირო იყო ორივე დელეგაციის მიერ აქ თბილისში, ვიდრე დაიწყებოდა მუშაობა საზღვარზე. მან გამოსთქვა იმედი, რომ ხელახალ შეხვედრის დროს საზღვარზე ჩვენი საერთო მუშაობა გაგრძელდება ისევე მეგობრულად და ერთმანეთის გაგებით, როგორც მუშაობის დაწყებისას.

საკავშირო დელეგაციის სახელით ამხ. კარკლინმა მადლობა გადაუხადა ოსმალეთის რესპუბლიკის დელეგაციას და განსაკუთრებით მის თავმჯდომარეს გალიბ-ბეის. მან სთქვა, რომ მუშაობის დაწყებამ უკვე დაგვანახვა, რომ ორივე დელეგაციამ გაიგეს ის ამოცანები, რომელიც ორივე მხარეს მთავრობებმა დააკისრეს შერეულ კომისიას, და იმედი აქვს, რომ ახალ შეხვედრის დროს ეს ამოცანები შესრულებული იქნება ორივე მეგობრულ ხალხის—ოსმალეთის რესპუბლიკის და საბჭოთა კავშირის საერთო ინტერესების მიხედვით.

სხდომა დაიხურა საღამოს 11 საათზე და ორივე დელეგაციის წევრები გამოთხოვების დროს გამოსთქვამდენ რწმენას, რომ ახალ შეხვედრის დროს ა/წ. 15 თებერვალს კომისიის მუშაობა ისევე წარმატებით იწარმოებს, როგორც მუშაობის დაწყებისას.

პარტიული ცხოვრება

თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა პარასკევს 9 იანვარს

ერთიანი პარტიულ დღეს

დღის წესრიგში წამოყენებული იქნეს შემდეგ საკითხები.

კანდიდატების გადარიცხვა პარტიის წევრებათ, კომკავშირის წევრებისა და უპარტიოების კანდიდატებათ მიღება.

რაიკომებმა და უჯრედებმა თვითონ უნდა წამოაყენონ დამატებითი საკითხები.

მდივანი კახიანი.

ლენინის ხსოვნის აღსანიშნავად

ს. კ. პ. თბილისის კომიტეტისაგან

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტმა დაამტკიცა ლენინის გარდაცვალების წლის თავის ჩატარების შემდეგი გეგმა ქალაქისა და მისი მახლობლისათვის:

1. 1925 წ. 16—24 იანვრამდე ტარდება ვ. ი. ლენინის ხსოვნის „კვირეული". „კვირეულს" ეძლევა ფართო საპროპაგანდო კამპანიის ხასიათი, როგორც პარტიის შიგნით ისე უპარტიო მუშათა და გლეხთა მასებს შორის.

აღნიშნულ „კვირეულის" განმავლობაში გაშუქებული უნდა იქნას შემდეგი მთავარი საკითხები:

1) ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

2) პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ულენინოთ მუშაობის წლის თავი.

3) ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ.

2. „კვირეულისათვის" მზადება იწყება 1925 წ. 5 იანვრიდან სარაიონო სადელეგატო კრებების მოწვევით რაიონის აქტიურ წევრთა თანდასწრებით, ამ კრებებზე გაკეთებული იქნება საინსტრუქტორო მოხსენება შემდეგ თემაზე: „პარტიის და საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის წელი ულენინოთ".

სადელეგატო კრებები იმართება 5—10 იანვრამდე.

3. აღნიშნულ თემაზე მოხსენებები გაკეთებული იქნება 16—24 იანვრამდე ყველა წარმოებათა და დაწესებულებათა საერთო კრებებზე.

4. 1925 წ. 6 იანვარს ცენტრალურ პარტკლუბში გაკეთებული იქნება საინსტრუქტორო მოხსენება შემდეგ თემაზე: „პარტიის ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ".

5. აღნიშნულ თემაზე მოხსენება გაკეთებულ იქნება პარტუჯრედების სხდომებზე (პატარა უჯრედები მოხსენების მოსასმენად ერთდებიან).

6. ყველა პოლიტ. და პარტ. სკოლებსა და წრეებში „კვირეულის" განმავლობაში იწარმოებს ორი მეცადინეობა შემდეგ თემაზე:

1) ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

2) ბრძოლა ლენინიზმის დამახინჯების წინააღმდეგ.

7. მორიგ ერთიან პარტიულ დღეს 9 იანვარს იმართება პარტუჯრედების ღია სხდომები, რომელზედაც ხდება კანდიდატების პარტიის წევრებად გადაყვანა და ახალგ. ლენინელთა კომკავშირის წევრთა და უპარტიოთა კანდიდატებათ მიღება.

ლენინელთა ახალგ. კომკავშირის უჯრედებში სწარმოებს პიონერების გადაყვანა ახალგ. კომკავშირის წევრებად.

8. „კვირეულის" განმავლობაში 16—24 იანვრამდე რაიონებში იმართება სადელეგატო კრებები, რომლებზედაც სწარმოებს პარტიაში მიღება და იაჩეიკების მიერ დაწინაურებულ ამხანაგების წევრებად გადაყვანა.

9. 21 და 22 იანვარს ყველა კლუბებში იმართება მოგონებათა საღამოები და ინსცენიროვკები.

10. „კვირეულის" ჩასატარებლად მაზრებში გაწვეული იქნებიან მთელი რიგი ამხანაგების, რომლებიც 16—24 იანვრამდე მიემგზავრებიან სოფლებში. ამავე დროს სოფლად მიემგზავრებიან საშეფო კომისიები.

სოფლებში იმართება სასოფლო საბჭოების სხდომები, რომლებზედაც გაკეთებული იქნება მოხსენებები შემდეგ თემაზე:

1) ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა.

2) ლენინი და გლეხობა.

საინსტრუქტორო მოხსენებები საშეფო კომისიებისათვის იმართება რაიონებში 10—16 იანვრამდე.

11. შრომის სკოლებში და ტეხნიკუმებში იმართება მოხსენებები შემდეგ თემაზე:

„ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა". მოხსენებების ჩასატარებლად სკოლები ერთდებიან სწავლების ენის მიხედვით.

მომხსენებლებს ასახელებენ რაიკომები ახალგ. ლენინელთა კომკავშირის რაიონებთან შეთანხმებით.

12. „კვირეულის" მოსაწყობად და ჩასატარებლად ცეკასთან და თბილისის კომიტეტთან ეწყობა გაერთიანებული კომისია საქ. კომპარტიის ცენტრ. კომიტეტის და თბ. კომიტეტის, ახალგ. ლენინელთა კომკავშირის ც. კ. და თბილისის კომიტეტის, საქ. პროფკავშირთა საბჭოს, თბილისის აღმასკომის, პოლიტგანათლების მთავარ სამმართველოს, ამიერ-კავკასიის წითელდროშოვან არმიის პოლიტიკურ სამმართველოს, ქართული დივიზიის პოლიტიკურ განყოფილების, საქ. კომპარტიის ც. კ. და თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების, ცაკთან არსებულ ვ. ი. ლენინის ხსოვნის უკვდავსაყოფელ კომისიის და საქართველოს პროლეტკულტის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

საინფორმაციო-განყოფილების კომპლექტი

დღეს, ოთხშაბათს იანვრის 7, საღამოს 7 საათზე
დანიშნულია
საქ. ცაკის პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომა
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
საქ. ცაკის მდივანი თოდრია.

ხუთშაბათს 1925 წლ. 8 იანვარს, საღამოს 6 საათზე,
თბილისის ალმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში
(ოთახი № 1) დანიშნულია

ალმასკომის მორიგი სხდომა

დღის წესრიგი:
1) მოხსენება: თბილისის საბჭოს, სოფლის საბჭოების და თემალმასკომების ახალი არჩევნების შესახებ.
2) საბჭოს ახალი არჩევნებისათვის ინსტრუქციის დამტკიცება.
3) თბილისის საბჭოს გამამრჩევ კომისიის არჩევნები.
4) მიმდინარე საკითხები.
დასწრება ყველა წევრთა და კანდიდატთა სავალდებულოა.
ნ. 592 2—1. პრეზიდიუმი.

განათლების ფრონტე

განათლების კომისარიატის საპერსპექტივო გეგმა.

ვინაიდან საორგანიზაციო ხანა განათლების კომისარიატის მუშაობის დამთავრდა, განათლების კომისარიატმა გადასწყვიტა მომავალ მუშაობის გეგმის წინასწარი შემუშავება და მისი უმაღლეს ორგანოებში გატარება. განათლების კომისარიატი მიზნათ ისახავს გამოარკვიოს თვითეულ მმართველობის მუშაობა—რას აწარმოებს ის ამჟამათ და რა სჭირია მას უახლოეს დროში. აგრეთვე კომისარიატმა გადასწყვიტა გამოიწვიოს მაზრების განათლების ინსპექტორები, რათა სწავლა-განათლების მდგომარეობა ადგილობრივ, უფრო ნათლათ იქნას გაშუქებული შემდეგში მუშაობის ნაყოფიერების გასაორკეცებლათ. ამ მიზნით ყოველ ორშაბათობით შესდგება განათლების კომისარიატის კოლეგიის სხდომები.

ინსტრუქციები მაზრების ინსპექტორებისათვის.

განათლების კომისარიატმა შეიმუშავა უმაღლეს ორგანოებში გასატარებლათ ინსტრუქციები მაზრის განათლების განყოფილებებში საფინანსო ანგარიშების და საქმის წარმოების შესახებ.

აკადემიკ კ. ტიმირიაზევის სახელობის ფონდი.

გამოჩენილ აკადემიკის სოფლის მეურნის კ. ტიმირიაზევის სახელობის ფონდის დასაარსებლათ საქართველოში, განათლების კომისარიატმა, მოსკოვის სამეცნიერო აკადემიაში საკითხის საბოლოოთ გამორკვევა მიანდო ამხ. დ. კანდელაკს.

რაჭის მაზრის განათლების ინსპექტორი.

განათლების კომისარიატის დადგენილებით რაჭის მაზრის განათლების ინსპექტორათ დაინიშნა ახალციხის მაზრის ყოფილი ინსპექტორი ამხ. სერგო რუხაძე.

გამოცდები უნივერსიტეტში.

სახელმწიფო უნივერსიტეტის დადგენილებით გამოცდების სერიები სტუდენტებისათვის დაიწყება 20 იანვარს და გაგრძელდება 10 თებერვლამდე.

სოციალური აღზრდისათვის.

სოციალური აღზრდის მთავ. სამმართველოს 1925 წ. ხარჯთ-აღრიცხვით სოციალურ აღზრდის საქმისათვის გადადებულია 30 ათასი მან.

თბილისის საბჭოში

ორშაბათს 5 იანვარს წითელ თეატრში დანიშნული იყო თბილისის საბჭოს პლენუმის სხდომა. დღის წესრიგში წამოყენებული იყო თბილისის საბჭოს ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება.

შეიკრიბა საბჭოს მხოლოდ 100 წევრი, ხოლო ქვორუმის შესაკრებად საჭირო იყო 250 წევრი.

ამხ. იორამაშვილი მოითხოვდა, რომ სხდომა ცნობილიყო კანონიერად და საბჭო შესდგებოდა ბიუჯეტის განხილვას.

ამხ. ლადო სუხიშვილი წინააღმდეგი იყო ბიუჯეტის ასეთ მცირე რიცხოვან სხდომაზე დამტკიცების, რადგან ბიუჯეტის მიღებას აქვს საკანონმდებლო აქტის ხასიათი და უკანონოა ასეთი მნიშვნელოვანი დადგენილების გამოტანა საბჭოს წევრთა საგრძნობ უმცირესობის მიერ.

დამსწრე წევრთა უმრავლესობა იღებს ამხ. სუხიშვილის წინადადებას და ადგენს ბიუჯეტის განხილვა და დამტკიცება მოხდეს საბჭოს მომავალ ორშაბათს სხდომაზე იმის მიუხედავათ, რამდენი წევრიც არ უნდა დაესწროს საბჭოს მორიგ სხდომას.

ცეცხლი რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში

ორშაბათს, 5 იანვარს ნაშუაღამევის 1 საათზე რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში (პლეხანოვის პროსპექტი) გაჩნდა ცეცხლი.

პირველად ცეცხლი დაიწყო ლუმელიდან, რომელიც მოთავსებული იყო მეორე სართულის საუდიტორიო დარბაზში. ლუმელის მილების ძალზე გახურების გამო ცეცხლი გაჩნდა საუდიტორიო დარბაზის ჭერს და შემდეგ მოსდებია სახურავს. ცეცხლი ვრცელდებოდა მეტად ადვილად, რადგან ზედა სართული წარმოადგენს ძველს, ნახევრად ხის შენობას. ცეცხლის გაჩენა შემჩნეულ იქნა ადრე, რის შემდეგაც სასწრაფოდ გამოწვეულ იქნა ცეცხლის მქრობელი რაზმები ქალაქის ყველა რაიონებიდან. რაზმები გამოძახებისთანავე გაჩნდნენ დანიშნულების ალაგზე, რაზმების გამოცხადებამდე ცეცხლი უკვე მოედო საუდიტორიო დარბაზის ჭერს და სახურავს, საიდანაც ცეცხლი გადასვლას აპირობდა საავადმყოფოს შენობის მარჯვენა და მარცხნა კორპუსების სახურავებზე. მდგომარეობა მეტად სახიფათო იყო. საჭირო იყო გაძლიერებულ ცეცხლის რკალის გარღვევა, რომ რაზმი მუშაობას შესდგომოდა, რაც რაზმელებიდან მოითხოვდა თავგანწირულ სიმამაცეს და გმირობას. რაზმელები თავის დანიშნულების სიმაღლეზე მდგომნი აღმოჩნდნენ. ისინი თავგანწირულად შეიჭრენ ცეცხლში, გაკვეთეს ცეცხლი და შეუდგენ კორპუსების სახურავების აგლეჯას, რადგან ცეცხლი ემუქრებოდა ხის სახურავებს.

განსაცვიფრებელი იყო გრადმაიორ ამხ. ბერიძის შეუპოვრობა და მოფიქრებული მოქმედების უნარი. რაზმელთა შორის იგი პირველი იყო რომელიც დაურიდებლად ეკვეთა გაძლიერებულ სტიქიონს და წინ გაუძღვა მისივე მოქმედებით გამხნევებელ რაზმელებს. თავდაუზოგველი სწრაფი მუშაობით ცეცხლი სამი საათის განმავლობაში ჩაქრობილ იქნა სავსებით.

აღსანიშნავია აგრეთვე საავადმყოფოს მთელი მოსამსახურე პერსონალის და კერძოდ ექიმების მიერ თავის მოვალეობის პირნათლად შესრულება. პირველ დაძახებისთანავე საავადმყოფოში გაჩნდა 35 ექიმი, რომელიც დაუყონებლივ შეუდგენ სათანადო თადარიგს. საშინელი ცეცხლის დროს საჭირო იყო თავდაჭერილი და დამშვიდებული მუშაობა, რომ საავადმყოფო პალატებში მწოლარე ავადმყოფებს არ შეშინებოდათ. მართლაც, დიდი სიფრთხილით და მოფიქრებით საავადმყოფოს ქონება იქნა გადატანილი და ავადმყოფები ისე გამოყვანილი, რომ პანიკას სრულიად არ ქონია ადგილი.

ცეცხლის ჩაქრობის შემდეგ გამოირკვა, რომ დამწვარია საუდიტორიო დარბაზის და მის მეზობლად მყოფ ოთახების ჭერი. გამსკდარა აგრეთვე წყალსადენის გაყინული მილი. საწოლ პალატებს არავითარი ვნება არ მოსვლიათ. არ დაზარალებულა საავადმყოფოს ქონება. ზარალი დაახლოვებით 7 ათას მანეთს უდრის. ცეცხლის მიზეზების ზარალის გამოსარკვევად და ნორმალურ მდგომარეობის აღსადგენ ზომების გამოსამუშავებლად მუშაობს საუწყებათაშორისო კომისია და აგრეთვე ჯანსახკომის სამეურნეო კომისია.

საავადმყოფოს ნორმალური მუშაობა გრძელდება. არ მუშაობს მხოლოდ საოპერაციო ოთახი, რომლის ჭერი გაჟღენთილია წყლით.

სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარის განკარგულებით საავადმყოფოს რემონტს ამ დღეებში შეუდგებიან.

საბჭოთა

სოფელთან დასაახლოვებლად
„გლეხის ბიბლიოთეკა“
500,000
სასოფლო-სამეურნეო წიგნაკები
გლეხობისათვის ცალი—10 კაპ.

ინტელიგენცია

7 იანვარს, საღამოს 7 საათზე გამომცემლობის შენობაში (რუსთაველის პრ. 8) შესდგება თათბირი ლიტერატურის სოფლად გავრცელების შესახებ.
მოწვეული არიან ყველა მსურველები
ნის. № 593—1—1

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას

6 იანვარს, ღამის პირველ საათზე მთავარ საავადმყოფოს შენობას გაუჩნდა [illegible] მქრობ რაზმის თავგანწირული მუშაობით ცეცხლი ჩაქრობილი იყო დილის 5 საათისათვის. დაზარალებულია ორი ოთახი და შენობის წინა ფასადის სახურავი. საავადმყოფოს ქონება არ დაზარალებულა.

ხანძრის ჩაქრობას პირადათ ხელმძღვანელობდა რაზმის ინსპექტორი გრანდ-მაიორი ამხ. ბერიძე. საავადმყოფოს ადმინისტრაცია უძღვნის დიდს მადლობას როგორც რაზმს, ისე მის ხელმძღვანელს ამხ. ბერიძეს.

შემთხვევით ხანძარს დაესწრო საავადმყოფოს ექიმთა კორპორაცია, რომელმაც მიიღო მხურვალე მონაწილეობა, როგორც საავადმყოფოს ქონების გადარჩენაში, ისე ავადმყოფთა გადაყვანაში სხვა განყოფილებებში.

კაცთაგან არავინ არ დაზარალებულა.

დანიშნულია კომისიები ხანძრის მიზეზის და მის მიერ მიყენებულ ზარალის გამოსაკვლევად.

საავადმყოფოს მთავარი ექიმის
მოადგილე **ის. ჭანტურია.**

მეცნიერება და ტექნიკა

ახალი ხიდი ნიუ-იორკში

ეს ხიდი ნიუ-იორკში იქნება უდიდესი მთელს მსოფლიოში. ეს იქნება ჩამოკიდული ხიდი.

ხიდი შესდგება ორი სართულისაგან და მასზე მოეწყობა გზები: 12 ხაზი მატარებლებისათვის, 4 ხაზი ქალაქის მატარებლებისათვის, ორი გზა ფეხით მოსიარულეთათვის.

საერთოდ ამ ხიდის ასაშენებლათ საჭირო იქნება 25 000 მუშის მუშაობა მთელი წლის განმავლობაში.

ყველაზე გრძელი გვირაბი.

დღემდი ყველაზე გრძელ გვირაბათ ითვლებოდა სიმპლონ-ს გვირაბი, რომლის სიგრძე უდრის 19 კილომეტრს და 800 მეტრს და სენ-გოტარდის, რომლის სიგრძე უდრის 14.900 მეტრს.

მათ აჯობებს ჩქარა ლონდონი თავისი მიწის ქვეშა რკინისგზით. ამ რკინის გზის უგრძესი გვირაბი იყო დღემდი პიკადილი. რომლის სიგრძე უდრის 12 000 მეტრს. პირველ დეკემბერს უნდა გახსნილიყო ახალი გვირაბი, რომლის სიგრძე იქნება 16 ათასი მეტრი. მომავალ წელში ეს გვირაბი გაგრძელებული იქნება კიდევ 6000 მეტრით და ამრიგათ დაიჭერს თითქმის 22 ვერსს.

8 მილიონიანი ტირაჟი

ასეთი ტირაჟი აქვს შეერთებულ შტატებში ყველაზე უდიდესი სავაჭრო სახლის Sears Roebusc-ის კატალოგს, რომელიც უფასოდ დაეგზავნება რვა მილიონ ადრესატს. წიგნი შეიცავს 1.076 გვერდს და მასში მოთავსებულია 3000 ილუსტრაცია.

აბრეშუმი თევზისაგან

ამ რამდენიმე ხნის წინათ მეცნიერებმა ხმელთა-შუა ზღვაში ერთი მოვლენა აღმოაჩინეს. ზღვის იმ ნაწილში, სადაც წყალი განსაკუთრებით თბილია, იპოვეს თევზი „პიგინა“. ამ თევზის ენა წარმოადგენს კაპილიარული მილების სისტემას და ამ მილებიდან თევზი ქსოვს აბრეშუმის ქსოვილს. რომელიდან ის ამზადებს რაღაცას გამაკის მსგავს, რომელშიაც ათავსებს კვერცხებს.

ეს აბრეშუმის ძაფები იმდენათ წვრილია. რომ ასეთი ძაფი, რვა ვერსის სიგრძის მქონე, იწონის ერთ მესამედ მისხალს და ამავე დროს იმდენათ მაგარია, რომ მისგან დაამზადეს ჩულქები და სხვა მსუბუქი ქსოვილები. მაგრამ ამ ქსოვილების რაოდენობა იმდენათ მცირეა, რომ კომერციული მნიშვნელობა არა აქვს.

ქრონიკა

— **ხიდი მდინარე ალაზანზე.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ საჭიროთ სცნო დააკმაყოფილოს საქ. უმაღ. ეკ. საბჭოს შუამდგომლობა სოფ. ველისციხეს და ყვარელის შორის მდინარე ალაზანზე ხიდის ასაგებათ საჭირო თანხის გაღების შესახებ. კომისართა საბჭომ კომისიას ამხ. ამხ. ს. ჯუღელის, შ. მათიკაშვილის და სალარიძის შემადგენლობით, დაავალა ადგილობრივ გამოარკვიოს, თუ რამდენი თანხაა საჭირო ხიდის ასაგებათ და აგრეთვე გამოარკვიონ სიღნაღის და თელავის სამაზრო ალმასკომების თანხები ხიდისათვის გადადებული. ამავე დროს ხიდის აგებით დაინტერესებულ ადგილობრივ მცხოვრებთა მატერიალურ მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ, საქ სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა მიწად-მოქ სახ. კომისარიატს, ცეკავშირს და წარმოკავშირს გააფართოონ თავიანთი სასოფლო-მეურნეობის ნაწარმოებთა დასამზადებელი ოპერაციები თელავის და სიღნაღის მაზრებში.

— **არაყის გამოხდის ნებართვა.** საქ. სახ. კომისართა საბჭოს დადგენილებით ღარიბეს გლეხებს ნება ეძლევათ წელიწადში ორი დღე-ღამის განმავლობაში ოჯახის საჭიროებისათვის გამოხადონ არაყი აქციზის გადაუხდელათ ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით.

— **სამრეწველო გადასახადი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ სამაზრო ალმასკომებს შორის განაწილა 1924—25 წ. სამრეწველო გადასახადის 40 პროც. 661.233 მან. რაოდენობით.

— **საქ. გეგმათა სამმართველოს ხარჯთაღრიცხვა.** საქ. სახ. კომ. საბჭომ დაამტკიცა საქ. გეგმათა სამმართველოს 1924—25 საბიუჯეტო წლის ხარჯთ-აღრიცხვა 116,444 მან. რაოდენობით და აგრეთვე შტატი რიცხვით 32 კაცი.

— **გლეხთა სასახლე.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ ამხ. ამხ. ელიავას, ჯუღელს და ქოქიაშვილს მიანდო თბილისში გლეხთა სასახლის გასახსნელათ შედგენილ ხარჯთ-აღრიცხვის საბოლოო გადათვალიერება.

— **სანერგეს გაფართოება.** წარმოკავშირმა გადასწყვიტა მიმდინარე წელში თავისი ამერიკული ვაზის სანერგე 17 დესეტინა, გააფართოოს 30 დესეტინამდე.

— **უმუშევართა ხელ-ახალი აღრიცხვა.** გონებრივ და კანტორის მომუშავეთა საშუამავლო ბიურო ახალი ნომრების დასარიგებლათ 9 იანვარს მოახდენს საქმეთა მმართველების და მდივნების ხელ-ახალ აღრიცხვას.

— **ახალი ნიხრი ხე-ტყეზე.** მიწად-მოქ. სახ. კომისარიატის სატყეო განყოფილებამ გამოიმუშავა ახალი ნიხრი ხე-ტყეზე. ნიხრი გადიდებულია 25—50 პროცენტით.

— **მეაბრეშუმეობის გამოკვლევა.** საქ. მ.-გ. ინსპექციამ დაამთავრა დასავლეთ საქართველოში მეაბრეშუმეობის გამოკვლევა. ახლო ხანში შეუდგება გამოკვლევას აღმოსავლეთ საქართველოში.

— **ხელფასის გამოკვლევა.** მ.-გ. ინსპექციამ ხელფასის გამომკვლევ ცენტრ. კომისიას მიანდო ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშათა ხელფასის გამოკვლევა.

— **მუშათა ჯანმრთელობის გამოკვლევა.** რესპუბლიკის დაზღვეულთა საექიმო ქვე-განყოფილება შეუდგა პოლიგრაფიულ წარმოებების მუშა-მოსამსახურეთა ჯანმრთელობის გამოკვლევას.

— **მუშა-ქალების გინეკოლოგიური დაავადმყოფება.** ვინაიდან ლენინის სახელობის თამბაქოს ქარხნის მუშა ქალები თითქმის ყველა დაავადმყოფებულია გინეკოლოგიურ სნეულებებით, რაც გამოირკვა მათი ჯამრთელობის მასიური შემოწმების დროს, დაზღვეულთა საექიმო დახმარების ქვე-განყოფილებამ გადასწყვიტა შემოიღოს მათთვის საღამოს მიღება გინეკოლოგიურ ინსტიტუტში.

— **ქიმიის მეგობართა საზოგადოების** საბჭოს სხდომა შესდგება 8 იანვარს საღ. 5 საათზე 1-ლ ქართ. დივიზიის სამხედრო კომისრის კაბინეტში.

— **დამსახურებული პროფესორი** პეტრე მელიქიშვილი ქიმიის მეგობართა საზოგადოებამ მიიწვია სამეცნიერო-სატექნიკო სექციის ხელმძღვანელათ.

— **სოფლის ნაწარმოები.** 1923—24 წ. განმავლობაში წარმოკავშირმა თავის წევრებს შორის დაამზადა 1,703 ათასი მანეთის სოფლის ნაწარმოები.

— **დახმარება უმუშევრებს.** დეკემბრის განმავლობაში უმუშევართა დაზღვევის განყოფილებამ დაზღვეულ უმუშევრებს დაურიგა დახმარების სახით—4,384 მან.

— **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** შაბათს, იანვრის 10-ს, საღამოს 7 საათზე, საქართველოს მუზეუმის აუდიტორიუმში (კალოუბნის ქუჩა, № 1) მოხდება საზოგადოების ჩვეულებრივი კრება, რომელზედაც პროფ. ივანე ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას — „სომხური საისტორიო მწერლობის უძველესი ძეგლები სომხური და ქართული მასალების მიხედვით“. კრებაზე დასწრება ყველას შეუძლიან.

შემთხვევები

ცეცხლი

— 5 იანვარს საღამოს 8 საათზე საპიონერის ქ. № 17 მოქ. ცაიტლინის ბინას გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩაქრობილი იქნა ადგილობრივი ძალებით.

— 4 იანვარს საღამოს 5 საათზე ბაიდერის ქ. № 20, მოქ. ოჰანა ტერეროვის ახალს გაუჩნდა ცეცხლი საკვამლე მილის გაუწმენდლობის გამო, რომელიც ჩაქრობილი იქნა ცეცხლის მქრობელ რაზმის მიერ.

— ამავე დღეს საღამოს 10 საათზე პლეხანოვის პრ. № 83, წითელ სასადილო № 6 გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ჩააქრო ცეცხლის მქრობელ რაზმმა. ზარალი უდრის 200 მან.

ქურდობა

— 5 იანვარს დღის 11 საათზე მე-9 ფერმა ავლაბრის ქ. (სახლი უნომროა) ბოქლომის გატეხის საშუალებით გაქურდეს ეგიაზარ ბალდასარიანცის ბინა, წაიღეს 70 მან. ნივთები.

— 4 იანვარს ღამით ვერცხლის რიგი № 8 ვიტრინის გატეხვის საშუალებით გაქურდეს სტეფანე ნასიბოვის სავაჭრო. წაღებულია 130 მან. ფართალი.

— **ქურდი ქალი.** 5 იანვარს სისხლის სამართლის მილიციამ შეიპყრო მარიამ თუმანოვი, რომელსაც ბრალდება ქონიაშვილისათვის ძვირფასი ნივთების მოპარვა.

მუშათა ცხოვრება

ახალი კადრი მუშებისა

ძველი ხელისუფლების დროს მუშა დამცირებული იყო. მას არა ნამდვილი ადამიანის თვალით უცქეროდენ, არც დიდ ყურადღებას აქცევდენ.

სრულიად უპატრონოთ—ღვთის ანაბარათ იყვნენ მიტოვებული, განსაკუთრებით, პატარა, ახალი მოსწავლენი—შეგირდები ამა თუ იმ ხელობის. მუშა კი დღეს წელში გამართული. ის—ყველაფერია, პირველობა მას ეკუთვნის, და მისი ახალი კადრიც შესაფერისად იზრდება.

ახალი მოზარდობა—მოწაფეობა—ამა თუ იმ წარმოებაში მიჩნეული კი არ არის, საზოგადოების—ადამიანის „უკანონო“ შვილებად, არამედ მათზეა დამყარებული მთელი „იმედი და მომავალი“. მათ საამისოთ (კოლექტიური სულით) ზრდიან, წრთვნიან, ასწავლიან სათანადო „ფაბზავუჩებში“.*)

რკინის გზის სახელოსნოს და „დეპო“-საც ჰყავთ ასეთი მოწაფეობა „ბრიგადნოე ობუჩენიე“-ს სახელწოდებით. მოწაფეების რიცხვი საკმაოდ დიდია. რკ. გზ. სამმართველო ყოველ ღონეს ხმარობს მათი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად კარგი პირობების შესაქმნელად. ისინი შევიწროებულად იყვნენ მოკალათებული ორთქლმავალთა საყუდში, ახლა კი გადაყვანილ იქნენ უკეთეს ბინაზე.

მოწაფეობა დიდ ინტერესს და ენერგიას იჩენს მუშაობაში. მუშაობა კი მეტად სასიამოვნო და ნაყოფიერია. აღსანიშნავია აგრეთვე მათი ხელმძღვანელის ამხ. გ. მიხდიაშვილის გულმოდგინეობა-ენერგიულობა მოწაფეების აღზრდის საქმეში. ის ძალღონეს არ იშურებს ამ მხრით, შესაფერი ხელმძღვანელია.

მუშკორი **იმედი.**

მუშებს დახმარება სჭირდებათ

(რკ. გზ. ჯანმრთელობის განყოფილების საყურადღებოდ).

ა.-კ. რკ. გზ. მთავარ საწყობში მე-2-ში, მუშა-მოხელეები უხერხულ მდგომარეობას განიცდიან უცაბედ შემთხვევის დროს. მთავარ საწყობის მუშებს ყოველ დღე უხდებათ მძიმე მასალების ტვირთვა-გადმოტვირთვა, ბანდაჟების, ტყვის ხეების და უთვალავი სხვა. ხშირია შემთხვევა, რომ მუშას მუშაობის დროს ეცემა ხელზე ან ფეხზე ეს მძიმე რკინა და მუშა შავდება, სისხლს ვერ იკავებს; ასე ხდება სხვადასხვაგვარ სითხეთა გადმოტვირთვის დროს. უცაბედათ უტყდებათ დიდი ბოთლი (ბალონი) და მუშა ვერ ასწრებს გაქცევას, ესხმება და იფუფქება. მეორემ აი ავერ ხელი გაიპრა, თუ ფეხი, იქვე ქარი დამხმარე აღარავინ არა ჰყავთ და უხდებათ მთავარ სახელოსნოს ამბულატორიაში წაყვანა ან წაღება ერთი ვერსის მანძილზე.

ამიტომ საჭიროა მთავარ საწყობში აუცილებლათ გაიხსნას პატარა დამხმარე აფთიაქი.

მუშკორი **დონჯანი.**

სახლის პატრონის მხეცური მოქმედება

(ალმასკომის ადმინისტ. განყ. საყურადღებოდ).

ექიმ გაჩეჩილაძის სახლში (მეორე სამილიციო უბანი) ეკავა ბინა ძველ მუშას გიგიბერიას. მოტყუებით გაჩეჩილაძემ გამოაცალა ხელიდან ბინა და იქ სხვა ჩაასახლა. იმავე უბნის კომისრისაგან იყო განკარგულება გაცემული ბინა გიგიბერიასთვის დაებრუნებიათ, რის ასრულებაც დავალებული ჰქონდა უფროს თანამშრომელ ჯავახიშვილს. ჯავახიშვილი იმდენს ეცადა, რომ მისცა დრო გაჩეჩილაძეს ცრუ მოქმედებით და პროტექციებით აეღო ორდერი ოთახზე, რის შემდეგაც შეეძლო ბინა გადაეცა სხვისთვის. გაჩეჩილაძე ემუქრებოდა კიდეც გიგიბერიას ნასწავლს უსწავლელი რას მიზამო.

ასეთ უსამართლობას ბოლო უნდა მოეღოს და საბჭოთა ხელისუფლების დროს ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ძველი მუშა.

ცეკავშირის ძეხვის ქარხანა

დასახელებულმა ქარხანამ (არის ვერის დაღმართზე) თავის წარმოების წასული 1924 წ. საანგარიშო სეზონში დამაკმაყოფილებელი ნაყოფიერება გვიჩვენა. ხოლო 1925 წ. დასაწყისში მას კიდევ მეტი ნაყოფიერება ეტყობა, თითქმის 75 პროცენტის გადაჭარბებით შარშანდელთან.

ყოველივე ეს კი აიხსნება იმით, რომ ქარხანამ შესძლო ბაზრის გაფართოვება; იგი თავის ნაწარმოებს უფრო ფართედ აწოდებს ამა თუ იმ სავაჭრო-გამსაღებელ კოოპერატივებს. თვით გამგის მეოხებით კარგადაა დაყენებული ქარხნის წარმოების ორგანიზაცია.

ქარხნის წარმოების უფრო განვითარებას ხელს უშლის მრავალი წვრილმალი ზედნადები ხარჯები, რომელნიც რამდენადაც შესაძლებელი იქნება, უნდა შემცირდეს. გარდა ამისა არა მგონია, რომ მას არ აფერხებდეს ის გარემოება, რომ მას არ აქვს თავის წარმოების დარგში მონოპოლია სხვა ამნაირივე კერძო წარმოებებთან წინააღმდეგ საბრძოლველად.

მუშკორი—**ჩხმელი.**

საჭიროა ასეთები არ განმეორდეს

(ჯანსახკომის საყურადღებოდ)

იანვრის ოთხს მქონდა შემთხვევა მივსულიყავი თბილისის მთავარ (მიხაილოვის) საავადმყოფოში ამხანაგის სანახავად, სადაც ავადმყოფების ნახვა სწარმოებს 2 საათიდან. ცოტათი ადრე დამირჩა მისვლა და განსაკუთრებით ადრე მოვიდნენ სოფლელი გლეხები, რომლებმაც არც კი იცოდნენ განსაზღვრული დრო ავადმყოფის ნახვისა. აქ ჩვენ გავეცანით განკარგულებას, რომლითაც ჩვენ აგვეკრძალა საერთო შესასვლელში დგომა, რადგან ნახვის დრო ჯერ კიდევ არ იყო; მორიგე დარაჯმა ქალმა დაკეტა შესასვლელი კარები და მოსულ მუშებს და გლეხებს უმასპინძლდებოდა შემდეგი სიტყვებით: „არ შეიძლება შემოსვლა, „ნაჩალსტვომ“ აგრე მიკარნახაო“ და მოსულებს აჩვენებდა ორ თითს, რომლითაც აცნობდა, რომ მათ ორ საათამდი აქ არაფერი აქვთ. მოსული გლეხები და მუშა-მოსამსახურეები რა თქმა უნდა, უკან ვერ დაბრუნდებოდნენ და ამ საშინელ სიცივეში გარედ უნდა გაყინულიყვნენ, რომ ერთი ექიმთაგანის ჩაგონებით ჩვენთვის კარები არ გაეღოთ და იმავე ექიმის ჩაგონებით ერთი იქვე ცარიელი ოთახთაგანი ჩვენთვის სადგომად არ დაეთმოთ. რაშია საქმე? ნუ თუ ისეთი „ნაჩალსტვო“ ჰყავს მართლადაც „მთავარ“ საავადმყოფოს, რომ ეხლანდელ არაჩვეულებრივ სიცივეს ის ვერ გრძნობს და სრულიად არ შედის მუშა და გლეხების მდგომარეობაში.

ინფ. **გალ. მელახინი.**

ასეთი სიბინძურე დაუშვებელია

(ქ. ალმასკომის სანიტარული განყოფილების საყურადღებოდ.)

19 თებერვლის ქუჩა № 35-ში ყველა დარაბები ღია, უპატრონოდ მიტოვებული, სადაც შედის ყოველი ქუჩის მოხეტიალე სალხი და აბინძურებს. აქ ისე ყარს, რომ გავლაც შეუძლებელია. მოვალე არის სანიტარული [illegible] გინოს აღნიშნულ დარაბებში სანიტარული პირობები.

მუშკორი **ილარ. კაციტაძე.**

მიაქციეთ ყურადღება

(ქალაქის წყალსადენის საყურადღებოდ).

ვისაც კი ხშირად შეხვედრია ვერის ბორანზე გასვლა, ის აუცილებლივ მიაქცევდა ყურადღებას რომ ვერის პარკის ფეხსადგილიდან განუწყვეტლივ სდის წყალი. ეს ხდება მაშინ, როდესაც ვერის უბანში ხშირად მცხოვრებლებს წყალი არა აქვთ. რად ხდება ეს ასე?

ინფ. **ტაბაკინელი.**

ფაბრიკა-ქარხნებში

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი“.

წარმოება გაიზარდა. ამ უკანასკნელ ხანებში წარმოება გაიზარდა 20 პროცენტით. დეკემბერში ფაბრიკამ დაამზადა **25.200.000** ცალი პაპიროსი და **12.040** გირ. თამბაქო.

თითოეულმა მწარმოებელმა მუშამ დაამუშავა დეკემბერში **5,280 ცალი პაპიროსი** საშუალოდ.

სულ ამ ჟამად ფაბრიკაში ითვლება 240 მუშა-მოსამსახურე.

მანქანები მოემატა. ოქტომბერში ფაბრიკაში მუშაობდა 23 მანქანა, ეხლა კი იქ მუშაობს 28 მანქანა.

ნარდ სამუშაოზე გადასასვლელად სწარმოებს მოლაპარაკება კავშირთან და თამბ-ტრესტთან.

საწარმოო თათბირის საქმიანობა.

საწარმოო თათბირის დადგენილებით გამოსწორებულია კონტროლის მუშაობა, მანვე აღნიშნა უვარგისობა საგილზე ბაბინებისა, რომელიც იქ მიღებული იყო „ზაკგოსტორგისაგან“. მისივე დადგენილებით დაძლეულია ძალის მიმცემ სადგურის დეფექტები.

კულტ-მუშაობა.

მიუხედავად იმისა, რომ შენობა ხელს არ უწყობს ამ საქმეს, მუშაობა მაინც სწარმოებს: აქვთ სამკითხველო. გამოწერილი აქვთ ყველა ადგილობრივი გაზეთები და მართავენ საღამოებს ცენტრ. მუშათა კლუბში და საპიროთა ბათალიონის კლუბში (მისი საშეფო ნაწილია).

წ.-კითხვის უცოდინარები. ფაბრიკაში თითქმის აღარავინ არ არის გარდა მოხუცებისა; ნაწილი მუშების ამ ჟამად განაწილებული არიან წ.-კ. სალიკვიდაციო სკოლებში.

ინფ. **ტონკა.**

---

*) ფაბრიკა-ქარხნების მოწაფეთა შეგირდების სასწავლებელი არსებობენ ყველა დიდ წარმოებებში, ფაბრიკა-ქარხნებში, სადაც იღებენ მუშების შვილებს.

ხელოვნება

ქართული თეატრის 75 წ. თავზე

5 იანვარს ღამით მოსკოვში არსებულ საქართველოს კულტურის სახლის მდივანის — მიხ. ბალაძისაგან რედაქციამ შემდეგი დეპეშა მიიღო: 2 იანვარს მოსკოვში საქართველოს კულტურის სახლში შესდგა საღამო ქართული თეატრის 75 წლის თავის აღსანიშნავად. საღამოს დაესწრნენ პასუხისმგებელი ამხანაგები აბელ ენუქიძის მეთაურობით, [illegible] სტუდიის და საქართველოს კულტურის სახლის ხელმძღვანელმა შალვა დადიანმა წაიკითხა მოხსენება ქართული თეატრის, სტუდიის და მოსკოვში არსებულ კულტურის სახლის მნიშვნელობის შესახებ. სტუდიამ აჩვენა თავისი ნამუშევარი. შემდეგ შესრულებულ იქნა ვოკალური ნომრები. საღამოს დასასრულს სიტყვები წარმოსთქვეს აბელ ენუქიძემ, სერგო ქავთარაძემ, [illegible], [illegible], მამულიამ და სხვებმა. ორატორებმა ისურვეს წარმატება და გაძლიერება კულტურის სახლის და სტუდიის.

„კრასნიე სტიკი“

ხუთშაბათს. 8 იანვარს საღამოს 7 საათზე ცენტრალურ პარტკლუბში ამხ. [illegible] წაიკითხავს თავის ახალ პიესას—„კრასნიე სტიკი“. პიესა მიძღვნილია სოფლად მომუშავე კომკავშირელებისადმი.

წაკითხვის შემდეგ გაიმართება აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

წაკითხვაზე მოწვეულნი არიან პარტიული ამხანაგები, პროლეტკულტის ლიტერ. კოლექტივი „კრასნიე ვსხოდი“, პროლეტმწერალთა კავშირის წევრები. ხელოვანთა კავშირის სამდივნო და ხელოვნების მთავარ სამმართველოს პრეზიდიუმის წევრები.

— **ქართ. ახალგაზრდა ხელოვანთა** გამოფენა—საღამო, რომელიც უნდა გამართულიყო პირველ სახელმწიფო კონსერვატორიაში ა. წ. 5 იანვარს, გადადებულია. საღამოს დღე გამოცხადებული იქნება ცალკე.

— **პენსია ვანო სარაჯიშვილის ქვრივს.** საქ სახ. კომისართა საბჭომ წინადადება მისცა განათლების კომისარიატს, სარაჯიშვილის ქვრივს აძლიოს ის პენსია, რომელსაც ღებულობდა განსვენებული სიცოცხლეში.

— **მსახიობ ყიფიანის მამული.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაადგინა განსვენებულ მსახიობ კოტე ყიფიანის მამული სოფ. ქვიშხეთში გადასცეს მწერალთა კავშირს.

— **იუზა ზარდალიშვილის იუბილე.** 10 იანვარს ქუთაისში გაიმართება მსახიობ იუზა ზარდალიშვილის იუბილე მისი სცენაზე 25 წ. მოღვაწეობის აღსანიშნავად.

— **ქართველ მსახიობთა კოლექტივის** მიერ დღეს სახელმწიფო ოპერის თეატრში წარმოდგენილი იქნება „იმედის დაღუპვა“.

— **„გმირი“.** ხუთშაბათს, 8 იანვარს რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება სინკის პიესა: „გმირი“

— **„მზეთა-მზე“.** ამ ჟამად მზადდება და ახლო ხანში წარმოდგენილი იქნება რუსთაველის თეატრში თამარ ვახვახიშვილის პანტომიმა: „მზეთა-მზე“.

— **ოპერაში.** ხუთშაბათს, 8 იანვარს წარმოდგენილი იქნება „ტოსკა“.

— **ცირკი.** დღეს დუროვის გასტროლი.

— **ახალი კინო „აისი“.** 10 იანვარს სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიხსნება კინო „აისი“. პირველად ნაჩვენები იქნება ახალი სურათი „ქარიშხალის წინ“ დადგმა კ. მარჯანიშვილის რეჟისორობით.

— **სახელმწიფო სახალხო სამუსიკო სასწავლებელში** მიიღება მოწაფეები სწავლო წლის მეორე ნახევრისათვის როიალის, სიმღერის, სკრიპკის და თეორიის კლასებში.

დღეს კინოებში:

— **არფასტო**—„აელიტა“ 1 და სერია.

— **მინიონი**—„ქალი გზა-ჯვარედინზე“ 1 და 2 სერია.

— **სოლეი**—„აელიტა“ 1 და 2 სერია.

— **აპოლო**—„გრაფ მონტე-კრისტო“ 1 და 2 სერია.

— **გლობუს**—„სამი სიცოცხლე“.

კინო

„აელიტა“

სურათ „აელიტა“-ს ორივე სერია მიდის კინო-თეატრ „არფასტო“-სა და „სოლეიში“ სურათს აურაცხელი ხალხი ესწრება. ბილეთების მთელი რაოდენობა ჩვეულებრივ იყიდება საღამოს 9 საათამდი.

მოლაპარაკება „სევზაპკინოსთან“

საქართველოს კინო-მრეწველობა მოლაპარაკებას აწარმოებს „სევზაპკინოს“ წარმომადგენლობასთან იმ ახალი სურათების შეძენის შესახებ, რომლებიც შეიძინა „სევზაპკინოს“ საზღვარგარეთელმა ექსპედიციამ. დადებულია სათანადო შეთანხმება და იანვრის განმავლობაში თბილისში წავა სურათი „როზიტა“ მერი პიკფორდის მონაწილეობით, რომელსაც კარგათ იცნობს თბილისის საზოგადოება.

სურათი დადგმულია ცნობილ რეჟისორ ერნსტ ლიუბიჩის მიერ.

„დაკარგული განძი“

კინო-სურათი „დაკარგული განძი“ დიდ აღტაცებას იწვევს რუსეთში დღევანდლამდი ექსპლოატაციისთვის გამოშვებულია 15 ეგზემპლიარი. გრძელდება მოთხოვნილების მიღება „დაკარგული განძის“ დამატებით ეგზემპლიარებზე.

სამი სიცოცხლე

საქართველოს კინო-მრეწველობის სურათი „სამი სიცოცხლე“ გატარებულია მთავარ სარეპერტუარო კომიტეტში და ახლო ხანში მისი ექსპლოატაცია დაიწყება მთელ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. სურათის უკანასკნელი საზოგადო განსინჯვა მოხდა კრემლში საბჭოთა კავშირის უმაღლის პასუხისმგებელ მუშაკების თანდასწრებით.

სურათმა დიდი ინტერესი გამოიწვია და ჩვენების შემდეგ მოხდა აზრთა გაცვლა გამოცვლა.

„სამი სიცოცხლე“ მოსკოვის კინო-თეატრებში

მოსკოვში „სამი სიცოცხლე“ წავა საუკეთესო კინო-თეატრ „არს“-ში, რომლის ექსპლოატაციასაც ეწევა კინო-ბიურო „მეჟრაბპომ-რუს“-ი; „არს“-ის ეკრანი საქართველოს კინო-მრეწველობას „სამი სიცოცხლისათვის“ დათმობილი აქვს ექვსი კვირით.

კინო-ფაბრიკა

საქართველოს კინო-მრეწველობის გაფართოების მიზნით ქალაქის ალმასკომის უძრავ ქონებათა სამმართველომ საქართველოს კინო-მრეწველობას კინო-ფაბრიკისათვის დაუთმო მეორე შენობა პლეხანოვის პრ. № 184.

კინო-ფაბრიკის ნაყოფიერება ამის გამო აყვანილი იქნება დამუშავებული პლიონკის 7.000 მეტრამდი დღე და ღამის განმავლობაში.

სიღნაღ-ლაგოდეხის გზატკეცილის აღსადგენათ

დღეს სიღნაღ-ლაგოდეხის გზატკეცილი მთლად დანგრეულია. არა ერთხელ იყო აღძრული სამაზრო ხელისუფლების მიერ საკითხი ამ გზის კაპიტალური რემონტის საჭიროების შესახებ; არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული სამაზრო ალმასკომის მიერ დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ამ გზისა, რომელიც აერთებს ერთის მხრივ ორს ბუნებრივად მდიდარ მაზრას, სიღნაღ-ზაქათალისას,—ხოლო მეორე მხრივ სიღნაღის მაზრას საქართველოს ცენტრ—ტფილისთან. ეს გზა უნდა ჩაითვალოს ერთ უმთავრეს მასაზრდოებელ ნერვად მთელ საქართველოსა.

ალმასკომის დაბეჯითებით შუამდგომლობას შედეგად მოჰყვა ის, რომ 1924 წელს, აპრილის 9, საუწყებათაშორისო თათბირმა ერთხმათ მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც სასწრაფოდ უნდა დაწყებულიყო კაპიტალური რემონტი ამ გზისა. ამ საქმისათვის საჭირო ხარჯები აღრიცხული იყო 97.000 მანეთად, რომელიც უნდა გამოეღოთ თავიანთი ნებაყოფლობით შემდეგ დაწესებულებებს:

1.	სიღნაღის ალმასკომს	45.000 მ.
2.	ა/კ. რკინის გზ. სამ.	25.000 მ.
3.	სახელმწიფო ხაზინას	10.000 მ.
4.	თამბაქოს ტრესტს .	8.500 მ.
5.	„წარმოკავშირს“ .	8.000 მ.

მიუხედავად დაპირებისა დღევანდლამდის თითქმის არც ერთს ზემოხსენებულ დაწესებულებას არ გაუნაღდებია თათბირის დადგენილება რის გამოც გზის რემონტის წარმოება შეფერხებულია.

რემონტი იგვიანებს, გზა-კი დღითი-დღე უფრო და უფრო უარესდება. მისი მდგომარეობა ამჟამად მუშაობათა მწარმოებლის ინჟინერის იოსავას სიტყვით ასეთია:

„გზა, დაწყებული ქ. სიღნაღიდან ყოფილ ჩოლაყაშვილის წისქვილამდე, დაახლოებით 34 კილომეტრი, სრულიად დაქცეულია. აღარ არსებობს თვით გზის ზურგი. მრავალ ალაგას გზის მაგივრად მხოლოდ ხრამები და ორმოებია, რომლებშიაც ჩაგუბებულია წყალი ნახევარ საჟენის სიღრმეზე“.

ამ გზის გაკეთება, მისი საფუძლიანი რემონტი, დაჯდება ამჟამად იმავე ინჟინერის გამოკვლევით 500.000 მან., ე. ი. ისეთი ჯამი, რომლის გაღება დღევანდელ დროს არც ერთს უწყებას და არც მთავრობას არ შეუძლიან.

მაშ სად ვეძიოთ გამოსავალი ამ ჩიხიდან. იოსავას პროექტი ასეთია:

გზას აქვს უდიდესად დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და იგი უნდა უეჭველად შეკეთებულ იქმნეს. ეს გზა ემსახურება არა მარტო ჩვენს ეკონომიურ, კულტურულ და პოლიტიკურ ინტერესებს, არამედ მაზრის მოსაზღვრე აზერბეიჯანის რესპუბლიკის ასეთსავე ინტერესებს. უკეთუ ეს გზა კაპიტალურად არ შეკეთდა, სიღნაღის მაზრა სრულიად მოსწყდება ზაქათალის ოლქს, ხოლო ეს უკანასკნელი-კი მთელს საქართველოს, რაიც აურაცხელ ზიანს მიაყენებს ჩვენ და აზერბეიჯანის რესპუბლიკების მშრომელი ხალხის საარსებო ინტერესებს. ინჟინერი იოსავა ერთად-ერთ გამოსავალს გზის აღსადგენად ხედავს საფუთო გადასახადის დაწესებაში დროებით მაინც იმ საქონელზე (ტვირთზე), რომელიც ამ გზაზე მოძრაობს.

ამ გზით ყოველწლიურად მინიმალურის ანგარიშით გადადის:

1. არაყი 100.000 ფ., 2. ღვინო 1.000.000 ფ., 3. თხილი და კაკალი 100.000 ფ., 4. მატყლი 10.000 ფ. 5. ხე-ტყე 250.000 ფ., 6. შეშა 500.000 ფ., 7. მსხვილფეხა საქონელი 50.000 სული, 8. წვრილფეხა საქონელი 100.000 სული 9. თამბაქო 50.000 ფ., 10. აბრეშუმის პარკი 6.000 ფ., 11. ბრინჯი 6.000 ფ., 12. ნავთი-მაზუთი 20.000 ფ., 13. ფართალი 6.000 ფ., 14. საგალანტერიო საქონელი 10.000 ფ., 15. საბაკალეო 3.000 ფ., 16. ტყავეულობა 48.000 ფ., 17. სხვადასხვა საქონელი 2 500.000 ფ.

დღე-ღამეში ამ გზით გაივლის დაახლოებით 150 ურემი, ფურგუნი, ტაჩკა და სხვა.

აქ აღნიშნულ ტვირთებზე რომ დაარსდეს საფუთო გადასახადი ფუთზე 10 კაპიკი, ორის წლის განმავლობაში, იოსავას ანგარიშით შემოვა 500.000 მანათი, ე. ი. ის თანხა, რომელიც საჭიროა გზის აღსადგენად და მის კაპიტალურად შესაკეთებლად.

სამაზრო ალმასკომი თავის მხრივ შეეკითხა ზაქათალის ოლქს, როგორც დაინტერესებულს ამ საქმეში და პასუხი მიიღო, რომ ისინი სავსებით იზიარებენ ამ გადასახადის მიზანშეწონილობას.

ამრიგად დასაბუთებული მოხსენება წარედგინა სათანადო მთავრობას, რომელიც უეჭველია დაამტკიცებს მას და შესაძლებლობას მისცემს მაზრას განახორციელოს ეს დიდი სახელმწიფოებრივი საქმე.

ქიზიყის მოამბე.

პროვინციაში

ფრინველის ჭირი სოფლად

სოფ. წირქვალი (შორაპნის მაზრა)

მთელ სოფელში სწრაფათ გავრცელდა ფრინველების ჭირი და გასწყვიტა, ვისაც რა ჰყავდა. განსაკუთრებით ხელს უწყობს ჭირის გავრცელებას თვით გლეხების დაუდევრობა. გლეხს უკვდება ქათამი, იღებს მას და აგდებს მახლობელ ღელეებსა და ქუჩებში. მიდის მეზობლის ძაღლი, იღებს ქათამს, მიაქვს შინ და შეექცევა საქათმის გვერდით. გაივლის რამოდენიმე დღე და ჭირი ესტუმრება საქათმეს. ამჟამათ ქუჩები და ღელეები მოფენილია მკვდარი ფრინველებით და არავის არ მოსვლია აზრათ ურჩიონ გლეხს დახოცილი ფრინველები ან დასწვან, ან მიწაში ჩაფლან. ჭირი დღითი-დღე ვრცელდება. ექიმი გვყავს, მაგრამ შრატის უქონლობის გამო არავითარი აცრა არ სწარმოებს.

ა. მიროტაძე.

კომისიავ, გამოიღვიძე!

ხ. დილიკაური (შორაპნის მაზრა)

ამ სოფელში სკოლის შენობის ასაგებათ არჩეული იყო ხალხის მიერ საამშენებლო კომისია. უკანასკნელში მაინც და მაინც არ შედიოდნენ მცოდნე და საზოგადო საქმისადმი გულშემატკივარნი პირები, რასაც ამტკიცებს ის, რომ 1922 წ. დაწყებული შენობა ეხლაც დაუთავებელია და საზოგადო საქმის ბოროტათ გამოყენების გულისათვის დამნაშავენი პასუხისგებაში არიან მიცემულნი.

არჩეულია ახალი კომისია. ახალი კომისია მუშაობს 1924 წ. აგვისტოს რიცხვებიდან. ამ ხნის განმავლობაში კომისიას არაფერი გაუკეთებია. მათ მიერ ამოღებულია სკოლის მასალა, რომელიც იყო გასესხებული, რომელიც კრების დადგენილებით 3—4 დღეში უნდა მიეტანილიყო და რომლის მიტანას დიდი შრომა არ უნდოდა. ორ ოთახში გასაკეთებელი იყო ორი ბუხარი, ამის ფული ძველ კომისიას ჰქონდა გადახდილი და ბუხრის მასალაც თითქმის ძველად შეძენილი იყო. ბუხარი გაუკეთებელია. დაიწყეს მუშაობა, როცა ამინდი წახდა და ამით მუშაობა შეფერხდა. დეკემბრის წ/წ 22—23 რიცხვებში აქ დიდათ მოთოვა. უბუხრობით და სიცივის გამო მეცადინეობა შეწყდა. სკოლის შეფმა გადასდო სკოლის დასახმარებლად 30 თუმანი. ეს თანხაც კომისიის მიერ გაუწესრიგებელია. ოსტატები, რომლებიც მუშაობდნენ, ისინი დაითხოვეს და ამ რიგათ ამ წესით მიმდინარეობს „მუშაობა“.

კომისიავ, გამოიღვიძე!

ა. ხალაძე.

პირველი მაგალითი სვანებისათვის

21 დეკემბერს ზემო სვანეთის მაზრაში დაბა მესტიაში გაიხსნა კლუბი და ლენინის კუთხე. შენობის კეთილმოწყობილებამ, სცენის და ლენინის კუთხის სიმშვენიერემ დიდ აღფრთოვანებაში მოიყვანა მრავალი ასი დამსწრენი, ყველა დამსწრენი მოითხოვენ მადლობის გადახდას იმ ხელისუფლებისათვის, რომლის ხელმძღვანელობით კეთდება ყოველივე ეს.

ყველამ ერთხმათ დაადგინა ეთხოვოს საქარ. ცაკს ნებართვა, რომ კლუბს ეწოდოს ლენინის სახელობის კლუბი.

საზეიმო სხდომის დროს წარმოთქმულია მრავალი სიტყვები, მისალმებები. გაიმართა წარმოდგენა.

ი. ც—ძე.

საფაქიო ეწერის თემი

(ზუგდიდის მაზრა)

საფაქიო ეწერის თემი მდებარეობს ლიის რაიონში. ნიკოლოზის მთავრობის დროს მთელი ეს თემი ეკუთვნოდა აფაქიძეებს (თავადების გვარია), ამისათვის ამ თემს „საფაქიო ეწერი“ ერქვა. ეს სახელწოდება დღესაც შერჩა თემს. ადგილობრივ კომუნისტების ენერგიით და თემის პატიოსან ელემენტების დახმარებით აშენდა ყოფილი ეკლესიებიდან ორი დაბალ საფეხურის სკოლა. სწავლა-განათლებას ხალხი ძლიერ ეტანება, მაგრამ ხელს უშლის მატერიალური მდგომარეობა.

თემში არ არსებობს კოოპერატივი და არც რაიმე კულტურული დაწესებულება. მას ეწერი ტყუილად როდი ჰქვია. მთელი ამ თემის სახნავ-სათეს მიწას მწირი ეწერი წარმოადგენს. ასეთ უნაყოფო ნიადაგის შემწეობით არც ერთს გლეხს საყოფი სიმინდი არ მოუდის. ამისათვის ის გაზაფხულობით მიეშურება შავი ზღვის ნაპირისაკენ სიმინდის მოსაწევად. ზოგიერთი გლეხი სარგებლობის მაგივრად მალარიით შეპყრობილი ბრუნდება თავის ოჯახში. ყველაზე უფრო სამწუხარო მოვლენა ის არის, რომ საფაქიო ეწერში ზაფხულობით შრება წყალი, წისქვილები და ჭები უქმდება. მცხოვრებლებს კი დააქვთ სასმელი წყალი 3—4 ვერ. მანძილზე. მთავრობამ მიიღო საფაქიო ეწერის თემის მცხოვრებთა უმწეო მდგომარეობა მხედველობაში, ძლიერ შეუმცირა სასოფ. სამეურნეო გადასახადი და უწევს მას დახმარებას მეურნეობის ასაღორძინებლად. აუცილებლად საჭიროა, რომ ტრადიციული თემის წოდება „საფაქიო“ იქნას ხმარებიდან განდევნილი და მის ნაცვლად გამოინახოს ახალი სახელწოდება.

პლატონიშვილი.

დაწყებულ საქმეს დამთავრება უნდა

ძიმითი (გურია)

ერთი დიდი საკითხი დგას ძიმითის საზოგადოების წინაშე. ეს არის ოთხკლასიანი სასწავლებლისათვის შენობის აგება, რომლის საფუძველი უკვე ჩაყრილია. შენობის გეგმა დიდია. შიგ იქნება მოთავსებული სახალხო თეატრი, სამკითხველო, მასწავლებლების ბინა და სხ. საჭიროა ყველა ამხანაგებმა და პატიოსანმა მოქალაქეებმა დახმარება გაუწიონ ამ დიდ საქმეს. ამჟამად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებმა ძიმითლებმა განსაკუთრებით გულმხურვალე დახმარება უნდა აღმოუჩინონ ამ საქმეს. ამას გარდა თვით ადგილობრივ უნდა ეწყობოდეს წარმოდგენები. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ძიმითის სცენის მოყვარეები არ დაზოგავენ ასეთ საქმისთვის თავიანთ შრომას. აქ დიდი ხანია არსებობდა დრამატიული წრე. ასე რომ ძალები ამისთვის საკმაოთ მოიპოვება. მხოლოდ საჭიროა მონდომება და ენერგიის დახარჯვა. ვუსურვოთ ძიმითის საზოგადოებას თავიანთი დაწყებული საქმე ბოლომდე გამარჯვებით დაემთავრებიოთ.

დ. ხელაძე.

პროვინციის ქრონიკა

— **მეაბრეშუმეობა-მეფუტკრეობის** ახალორძინებლათ ზორჩალოს სამაზრო აღმასკომმა შეიმუშავა სათანადო გეგმა.

— **ქუთაისის** აღმასკომმა დაამტკიცა მუშათა საბინაო-ამშენებლობის კოოპერატიული ამხანაგობა.

— **გლეხთა არტელი.** სოფ. შეყვერისხევის გლეხებმა გადაწყვიტეს დაარსონ სასოფლო-სამეურნეო არტელი.

— **გორის** მაზრაში ამ ჟამად მძვინვარებს ღორის ჭირი, განსაკუთრებით წაღვერში და ტიმოთეს თემში.

— **საქონლის ჭირი.** ზემო-თიონეთში მიღებული ზომებით საქონლის ჭირი მოისპო.

— **ბზის დამზადება.** ზუგდიდის მაზრის ტყეებიდან 1924 წლის განმავლობაში დაამზადეს 4000 ფუთი ბზა.

— **თბილისში მყოფმა** ახკანელებმა შეადგინეს თავიანთ სოფელზე შეფობის მიღების კომისია.

ჩვენი ფოსტა

ქუთაისი. მიტროფანე რუხაძეს. თქვენი განცხადება გვიან მივიღეთ და ამიტომ არ მოვათავსეთ. შეგვატყობინეთ ვის გადავსცეთ ფული.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— დღეს, 7 იანვარს, საღამოს 6 საათზე ქალაქის აღმასკომის შენობაში შესდგება **ქალაქის რაიონის მებეჭდავთა ბიუროების კონფერენცია.**

დასწრება სავალდებულოა ყველა წევრებისათვის.

კონფერენციაზე მოწვეულია მებეჭდავთა ადგილკომების ფრაქციები და მებეჭდავთა პროფკავშირის ცენტ. გამგეობის ფრაქცია.

მდივანი **ხტურია.**

— დღეს, ოთხშაბათს 7 იანვარს, საღამოს 5 საათზე დანიშნულია **ლენინის რაიკომის დელეგატ ქალთა მორიგი კრება** მეექვსე უბნის ამხ. ლენინის სახელობის მუშათა კლუბში. ამ კრებაზე სავალდებულოა დაესწრონ დელეგატებთან ერთად ორგანიზატორი ქალებიც.

ლენინის რაიკომის ქალთა განყ. გამგე **ლ. ბიბინეიშვილი.**

— დღეს, 7 იანვარს, დილის 10 საათზე ცაკის შენობაში შესდგება **სასოფლო კომისიის პრეზიდიუმის სხდომა.** ევალება ყველა წევრებს გამოცხადდენ დაუგვიანებლად.

ცნობებისათვის ცხადდება კომისიის პრეზიდიუმის შემადგენლობა: 1. მახარაძე ფილ., 2. ზეგეჭკორი, 3. მ. თოკაშვილი, 4. დოლიძე ანდრო, 5. გიორგაძე, 6 ზობოხიძე 7. ჯაფარიძე აპალონ, 8. კახიანი, 9. ქართველიშვილი, 10. ბ. ორახელაშვილი, 11. დარახველიძე.

განცხადებები

უზომოთ დამწუხრებულნი მშობლები ნიკ. უტას-ძე და ტერეზია დუტუს ასული, მეუღლე როზალია ალბერტის ასული, ძმა ჟორჟა, დები: ელენა, რაისა და ლიუბა გეგენავები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ ტრაგიკულად გარდაცვალებას მათი ძვირფასი და დაუვიწყარ

მიხეილ ნიკოლოზის ძე

გეგენავას

რომლის დაკრძალვის დღე დანიშნულია ხუთშაბათს, 8 იანვარს, ნაშუადღევის სამ საათზე. გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან ვერის-ნიკოლოზის სასაფლაოზე. 1—1 № 35

ქართული დრამა

მსახიობთა ამხანაგობა

სეზონი 1924—25 წ.

ჰეერმანსი — დღეს, იანვრის 7-ს — წარმ. № 4.

„იმედი“-ს დაღუპვა

დრამა 4 მოქ. თარგმ. დ. მესხისა

მონაწილენი: ანჯარა ს., ანდრონიკაშვილი ქეთო, ივერიელი ა., რონელი ბ., ქიქოძე ანეტა, ქორიძე მ., ქორიძე მარი, ჩხეიძე ნინო, არაბიძე ვ., აფამიძე ვ., ბალანჩივაძე ვ., გამყრელიძე ვ., დგებუაძე ა., იმედაშვილი ა., ჭამულაშვილი ნ., მგალობლიშვილი ა., მატარაძე ვ., მებუკე ი., საფაროვი ზ., ფრონისპირელი გ., ქუთათელაძე შ.

დადგმა. მ. ქორელისა.

დეკორაციები ვ. სიდამონ-ერისთავისა

სამხ. ნაწ. გამგე ქ. ანდრონიკაშვილი

ადგილების ფასი 30 კ. 2 მ. 50 კ.

დასის გამგე ა. იმედაშვილი — დასაწყისი საღ. 8 ს.

სახელმწიფო ოპერა

დღეს, 7 იანვარს

ქართული წარმოდგენა

„იმედის დაღუპვა“

ხუთშაბათს, 8 იანვარს

„ტოსკა“

პარასკევს, 9 იანვარს

პირველად **„წინასწარმეტყველი“**

ნ. № 584 4—2

[illegible]

შრომის ინვალიდთა

სასადილო

ოჯახური სადილი 2 კერძი=45 კაპ.
შრ.-ის ინვალიდთათვის=30 კაპ.
2—5 საათამდე.

მთელი დღე უკრავს მუსიკა. ღვინო ყველა ფირმების ფასი 60 კ.—1 მ. ბოთლი. ვღებულობთ ყოველგვარ შეკვეთებს როგორც სადილის, ისე ვახშმისას დაკლებულ ფასებში.

ნ. № 563—8—2

1925 წ. — 25 იანვრიდან — 1925 წ.

გამოვა

ყოველთვიური სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო მოსწავლე ახალგაზრდობის

ჟურნალი

„საზღვარზე“

ს. ა. ლ. კ. კ. ცენტრალურ კომიტეტის და განათლების სახალხო კომისარიატის ორგანო

ჟურნალის პასუხისმგებელი რედაქტორები არიან: 1. მარიამ ორახელაშვილი, 2. ვ. დარახველიძე, 3. გ. ძიკრაშვილი.

ჟურნალი „საზღვარზე“ ღირებულება:
1 თვით—50 კ.
3 „ 1 მ. 40 კ.
6 „ 1 მ. 80 კ.
1 წლით—5 მ.

ჟურნალის გამოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე სახელმწიფო გამომცემლობის კანტორაში რუსთაველის პრ. № 31.

ჟურნალ „საზღვარზე“-ს რედაქციის მისამართი: ქ. თბილისი რუსთაველის პრ. № 20. ელსმენი 2—21

საჟურნალო მასალები უნდა გამოიგზავნოს ამავე მისამართით.

ჟურნალს აქვს მუდმივი განყოფილებები:

ბელეტრისტიკა და პოეზია, ლიტერატურული კრიტიკა, პოლიტიკა-ეკონომიკა—მარქსიზმი, მეცნიერული განყოფილება; მიმოხილვები: ახალი სკოლის, ახალგაზრდა საერთაშორისო მოძრაობის, მუშათა ცხოვრების, თეატრის, კინოს, სპორტის შესახებ; ფართო ადგილი დაეთმობა სოფლის ახალგაზრდობის ყოფა-ცხოვრების გაშუქებას, კრიტიკა-ბიბლიოგრაფიას და სხ.

ჟურნალში მონაწილეობას ღებულობენ როგორც ძველი, ისე ახალგაზრდა მწერალ-პოეტები, ჟურნალი დასურათებული იქნება მხატვრების—ალ. ქუთათელაძის და ს. ნადარეიშვილის მიერ.

ჟურნალის № 1 გამოვა 25 იანვარს

გაზეთების ხელისმომწერლების საყურადღებოთ

ცხადდება შემდეგი:

1) მისამართები უნდა იყოს სწორათ და გარკვევით დაწერილი.

2) ყოველგვარი ცნობის მისაღებად აუცილებლივ საჭიროა წარმოდგენილ იქნეს მიცემულ ქვითრის ასლი, წინააღმდეგ შემთხვევაში კანტორა არავითარ ცნობას არ მისცემს დაინტერესებულ პირთ..

3—2 კანტორა

ა. კ. ფ.-ტ. სახალხო კავშირის სამმართველო

აცხადებს

სამხატვრო

შეჯიბრებას

თბილისის გადმცემ რადიო სადგურის შენობის პროექტის წინამოს (ფასადის) შედგენაზე.

ხელოვნების მიხედვით **წინამო უნდა იყოს შედგენილი ქართულ ეროვნულ [illegible]** (სტილზე) და ეთანხმებოდეს შენობის გეგმას და ტეხნიკურ მოთხოვნილებებს, რომლის შესახებ ცნობები შეიძლება მიიღოთ ფ.-ტ. ოლქის რადიო საინსპეკტორო ნაწილში (რუსთაველის პროსპ. № 43).

წინამო უნდა იყოს წარმოდგენილი ნახაზის სახით, მასშტაბით არა ნაკლებ 1 | 84-სა, ფანქრის ან ფერადის საშუალებით და ხელმოწერილი პირობითი (რაიმე ფსევდონიმით). მასთან ერთად უნდა იქნეს წარმოდგენილი დაბეჭდილი კონვერტი იმავე ფსევდონიმის წარწერით, რომელშიაც უნდა იყოს მოთავსებული სახელი, მამის სახელი და გვარი პროექტის შემდგენისა და აგრეთვე მისი სწორი მისამართი.

უკანასკნელი ვადა ნახაზის წარმოდგენისა დანიშნულია მიმდინარე წლის 25 იანვარს.

ორ უკეთეს ნახაზში, მსაჯულების (ჟიურის) გადაწყვეტით, მიეცემა ჯილდო 1-ში—150 მან. და 2-ში—100 მანეთი.

ნს. № 588—2—1

სახელმწიფო დრამა

ხუთშაბათს, 8 იანვარს

ჯონ სინგ

„გმირი“

შაბათს, 10 იანვარს

გრ. რობაქიძე

„მალშტრემ“

ნ. № 585 5—1

ელექტრონით და სინათლით

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დარსონვალი

მიხეილ ჭედევანიშვილის სახელობის

ნერვიულთა და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 9205. 25—6

ამიერ-კავკ. რკინის-გზათა სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 1925 წლის 15 იანვარს, დღის 12 საათზე, ამიერ-კავკასიის რკინის-გზათა სამმართველოში (თბილისი, სადგურის ქ. № 1)

დანიშნულია

მეორეული კონკურენცია

შემდეგი სამუშაოებების გასაცემათ

საიჯაროწესით

ტვირთების და ბარგის დატვირთვა, გადმოტვირთვა და გადატვირთვა, შავი ქვის გადატვირთვა სად. შორაპანში ტვირთების დაცვასთან ერთად და აგრეთვე სამსახურის გაწევა მგზავრებისათვის „ნასილშიკების“ მიერ ამიერ-კავკასიის რკინის-გზის სადგურებზე. ეს სამუშაოები გაცემული იქნება იჯარით 1925 წლის 31 დეკემბრამდი.

იმ პირებმა, რომელთაც სურთ აღნიშნული სამუშაოების აღება, უნდა ჩაუშვან ყუთში, რომელიც მიკრულია № 44 თახთან, საგერბო მარკა დაკრული წერილობითი განცხადება დაბეჭდილ კონვერტში შემდეგი წარწერით: „ამიერ-კავკასიის რკინის-გზათა სამმართველოს ბარგის გადმოსატვირთავ სამუშაოების კონკურენციისათვის“, ან და უნდა გამოცხადდენ დანიშნულ საათზე თავისი ფასების ზეპირათ გამოსაცხადებლათ.

განცხადებებში გარდა სახელისა, მამის სახელისა და გვარისა, აღნიშნული უნდა იქნეს პირობები იმ სამუშაოების შესასრულებლათ, რომელსაც კისრულობს ესა თუ ის მოიჯარადრე და აგრეთვე მათი ფასი; სახელდობრ, აღნიშნული უნდა იქნეს, რა დაჯდება თვით ერთ ფუთ ბარგის დატვირთვა, გადმოტვირთვა და გადატვირთვა და აგრეთვე შავი ქვის გადატვირთვა.

განცხადების დართული უნდა ჰქონდეს ქვითარი იმის შესახებ, რომ რკინის-გზის ერთ-ერთ სალაროში შეტანილია წინასწარი საწინდარი ძირითადი საწინდარის 10 პროც. რაოდენობით; თვითეულ რესპუბლიკაში ძირითად საწინდრათ დაწესებულია 5.000 მანეთი. ძირითადი საწინდარი შეტანილი უნდა იქნეს ხელშეკრულების დადების დროს.

ეს პირობები სავალდებულოა იმ პირთათვისაც, რომლებიც ზეპირათ ივაჭრებენ; მათ ქვითარი საწინდრის შეტანის შესახებ უნდა წარმოადგინონ საჯარო ვაჭრობის დღეს.

კონკურენციით გასაცემი სამუშაოები დანაწილებულია ცალ-ცალკე რესპუბლიკების მიხედვით: საქართველო, აზერბეიჯანი და სომხეთი ნახიჩევანის რესპუბლიკით.

ცალკე პირებს და დაწესებულებებს შეუძლიათ განცხადების შეტანა ბარგის გადმოტვირთვის შესახებ ორ რესპუბლიკაში, და აგრეთვე მთელს ხაზზე, რისთვისაც საჭიროა საწინდარის სათანადოთ გადიდება.

იმ პირებს, რომლებსაც სამუშაოები არ მიეცემათ, წინასწარი საწინდარი უკანვე დაუბრუნდებათ.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება ყოველდღე (გარდა უქმეებისა), ექსპლოატაციის სამსახურის საქონლის განყოფილებაში (ელისაბედის ქ. № 176) დილის 10 საათიდან დღის 1 საათამდი.

განცხადებების შეტანის უკანასკნელი ვადა თავდება 15 იანვარის, დილის 12 საათზე.

იმ პირების გამოცხადების ვადა, რომლებსაც სურთ ზეპირათ ვაჭრობა, თავდება 15 იანვარს დღის 12 საათზე და 30 წ.

ნ. 591 2—1

საქართ. სახელმწიფო საპაიო სავაჭრო ამხანაგობის

დასავლეთ საქართველოს განყოფილება

ქ. ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ ის აწვდის სამეურნეო იარაღებს, მასალებს და ყოველივე ფაბრიკატებს,

რაც საჭიროა გლეხობისათვის.

მასთან ერთად იღებს შეკვეთებს და ამზადებს

დაფნის ფოთოლს, ბარიტს, ჯაგარს, თხილს, ლობიოს, საკასრე ტკეჩს წიფლისას, და უმთავრესად ღვინოს

ხელსაყრელ პირობებში

ნ. 541. 3—2

ბალანსი

კახელ მევენახეთა ამხანაგობა „საერო“-სი

1 ოქტომბრისათვის 1924 წ.

აქტივი.		
1. კასა მთავარ კანტორაში	1054—36	
„ წინანდ. განყოფილებაში	93—75	1.148—11
2. სახელდახელო ანგარიშები		475—66
3. საპაიო თანხები: ვსეკობანკში	5000—00	
„ წარმოკავშირში	4655—70	
„ საფილოქ. კომიტ.	946—00	10602—70
4. აქციები კოოპერატ. ბანკისა		250—00
5. საქონელი: მთავარ საწყობში	78.509—59	
„ წინანდ. „	17.759—68	96269—27
6. ქონება უძრავ-მოძრ. თბილისში	24.927—13	
„ „ წინანდალში	7.020—64	31947—77
7. თამასუქები		1021—67
8. დებიტორები: წევრები	4.163—36	
„ საზ. და სახელ. ორგან.	2.196—81	
„ სხვადასხვა პირები	29.459—74	35819—91
ბალანსი		177.585—09

პასივი.		
1. თანხები: საპაიო	40.128—46	
„ სათადარიგო	4.092—32	
„ საამორტიზაციო	5.730—78	49951—56
2. თამასუქები		48153—91
3. კრედიტორები: წევრები	2.393—38	
„ სახელ. და საზ. ორგანიზ.	69.483—71	
„ სხვადასხვა პირები	2.327—06	74204—15
4. საანგ. წლის წმინდა მოგება		5225—47
ბალანსი		177585—09

გამგეობის თავმჯდომარე თ. ჩანჩიშვილი
გამგეობის წევრი დ. ლუარსაბიშვილი.
ბუხჰალტერი გ. რ[illegible]შვილი

ნ. 589 1—1

ექიმი

ა. ს. ვადაჭკორია

ღებულობს ქალთა სნეულებათა ავადმყოფებს და უწევს სამეანო დახმარებას. მიღება დილის 8—10-მდე საღ. 3—7-მდე. ოლღას ქუჩა № 35

კერძო

გინეკოლოგიური და ქირურგიული

[illegible]

ტერაპევტიული განყოფილებით

სტაციონარულ ავადმყოფთა, გარდა გადამდებ და სულით ავადმყოფთა მიღება ყოველ დროს. ამბულატორიული მიღება შინაგანში და გინეკოლოგიაში, ქირურგიულ და შინაგან ავადმყოფთა დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8 საათამდე.

სოლოლაკი, რტიშჩევის ქ. № 13

ცნობების მიღება: ექიმი შახნაზაროვის ტელეფონით № 7—14—4.

ნის 372—100—19

ექიმი

ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის, ვენერიული სნეულებანი [illegible] ტრიპერი, სიფილისი. ავადმყოფთა მიღება დილის 9-დან დღის 12 საათამდე და 4-დან საღამოს 7 საათამდე, ქალების—2-დან 4-დე. ელისაბედის ქუჩა, № 77, მეორე სახლი კირკის ქუჩის კუთხიდან.

3083 25—17

ექიმი

გ. გ. [illegible]

ავადმყოფობა ფილტვების, გულის, ტუბერკულიოზის. სპეცმკურნალობა მალერიისა. ელექტრო-სხივებ-რენტგენის სამკურ. კაბინეტი. ფოტოგრაფია და მკურნალობა რენტ. სხივებით.

მიღება დილის 9—1 ს. და საღამოს 5—8 ს. ბებუთოვის ქ. № 23

2746 13—7

ექიმი

ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობა

მიღება: დილის 9—11 საათ. საღამოს 5—8. პლეხანოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. № 3203. 25—8

ექიმი

პ. რ. ვართანოვი

სიფილისი. კანისა და ვენერიული ავადმყოფობა.

მიღება: დილით 9—10 ს. საღ. 5—7 ს. მისამართი: სურამის ქ. № 9. კუთხე სადგურის ქუჩისა. რკინის გზის სამმართველოს მახლობლათ.

25—19

ექიმი

ე. მ. მძინარიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება

ავადმყოფების მიღება: 1—2 ს. და 6—8 ს. საღამოთი: ქალების და ბავშვების 5—6 ს.

მისამართი: რუსთაველის პრ. № 1 შესავალი კრუზენშტერნის ქუჩიდან).

25—23

მედიცინის დოქტორი

ა. ა. [illegible]

ბავშვთა და მოზრდილთა შინაგან, ორგანოების და ნერვიული სისტემის ავადმყოფობანი.

ელექტრო-სინათლით საექიმო კაბინეტი. მიღება დილით 10—12 საათამდი, საღამოს 5—7 საათ. გარდა უქმეებისა.

პლეხანოვის პრ., № 111 (ყოფ. მიხეილის ქუჩა), ბინა 2.

№ 2969 25—2

დავკარგე კომკავშირის საწევრო წიგნაკი არტაშეს ბაბაჯანოვის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულათ. 31 1—1

დავკარგე მარტყოფის რაიონის სამხედრო მაგიდის გაცემული პირადი წიგნაკი № 1514 პავლე სტეფანეს ძე ფაილოძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 31 1—1

დავკარგე კომპარტიის საკანდიდატო დროებითი მანდატი აბიდ სურმანიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 28 1—1

დავკარგე ტრანსპორტზე მომუშავეთა უმუშევრობის დამზღვევი ფურცელი ელენე დომენტის ასულის ტაბიძის სახელზე № 1137. ჩაითვალოს გაუქმებულად. 30 1—1

დავკარგე: 1) დაფნარის მთლიანი შრომის სკოლის დამთავრების მოწმობა № 232, 2) მეტრიკული ამოწერილობა № 62 და 3) კეთილ-საიმედოების მოწმობა № 1719 ბიძინა პავლეს ძე [illegible] სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 26 1—1

დავკარგე ახალ კომუნ. ლენინ. კავშირის წევრობის ბილეთი ისმაილ მოწყობილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ. 33 1—1

დავკარგე კანდიდატობის ბილეთი საქ. კ. პ. (ბ) № 1598 ისმაილ მოწყობილის სახელზე და პროფკავშირის საწევრო ბილეთი. ჩაითვალოს გაუქმებულად. 37 1—1

დავკარგე კომპარტიის საკანდიდატო დროებითი მანდატი დევრიშ ტაბლაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 27 1—1

დავკარგე მეტრიკა № 2821 | 1910 წ. ვერა ივანეს ასული ბებურიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 32 1—1

„ზარია ვოსტოკას“ სტამბა, [illegible] ულუკიძის ქუჩა № 4.